# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№152 (9983) 2025 წლის 14 ნოემბერი, პარასკევი




5

## ქართული მეცნიერების სადარაჯოზე ფხიზლად მდგომი დიდი ისტორიკოსი

სიმონ ჯანაშია — 125

საქართველოს პროკურატურამ ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

# გახარიას განკითხვის დღე დადგა!..



იხ. 3 გვ.

# დანაწევრებული ევროპა წარმატებული ვერ იქნება!




იხ. 8 გვ.

# „უკან — მომავლისკენ?!“

კაცი, რომელსაც სამშობლოს წინაშე არაფერი შეშლია...



7

მალხაზ ღოლიძე — საპატიო თბილისელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალური განცხადება

## მატყუარა მჩხიბავთა კლანი სამართალმა უნდა ამხილოს!




იხ. 4 გვ.

ბინძური დეზინფორმაცია

## ნაბიჯი ახალი ეკონომიკისკენ



აკადემიკოსი მიხეილ ჯიბუტი

ცირკულარული ეკონომიკა საქართველოსთვის:

## როგორ შევცვალოთ ეკონომიკური მოდელი



6 7

## არდავიწყება

ვაჟა მიროტაძე

## ბიჭებო, წარსული მენატრება

11



საქართველოს რესპუბლიკა

გუშინ, დღეს, ხვალ

№152. პარასკევი, 14 ნოემბერი, 2025 წელი

# საერთაშორისო დონის სკანდალი



## დავით ჩიხელიძე: საქართველოში ოპოზიციის საფარქვეშ უცხო ქვეყნების გავლენიანი ჯგუფები მოქმედებენ

**დადასტურდა ის, რაც ისედაც ყველასთვის ნათელი იყო, საქართველოში, ოპოზიციის საფარქვეშ, უცხო ქვეყნის აგენტურა მოქმედებს. დღეს ქართული მედიის საშუალებით გავრცელდა სკანდალური ინფორმაცია: ბრიუსელიდან ოპოზიციისთვის გამოგზავნილი წერილი, რომლის ავტორიც მათ(ოპოზიციას) საზოგადოებისთვის წერილის ტექსტის შეუცვლელად წაკითხვას ავალდებულებდა,** – წერს ექსპერტი **დავით ჩიხელიძე** სოციალურ ქსელში.

მისივე შეფასებით, ბრიუსელიდან გამოგზავნილი წერილის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია საბოლოოდ ადასტურებს – საქართველოში ოპოზიციის საფარქვეშ მოქმედებენ უცხო ქვეყნების გავლენიანი ჯგუფები.

**„დადასტურდა ის, რაც ისედაც ყველასთვის ნათელი იყო, საქართველოში, ოპოზიციის საფარქვეშ, უცხო ქვეყნის აგენტურა მოქმედებს. დღეს ქართული მედიის საშუალებით გავრცელდა სკანდალური ინფორმაცია: ბრიუსელიდან ოპოზიციისთვის გამოგზავნილი წერილი, რომლის ავტორიც მათ(ოპოზიციას) საზოგადოებისთვის წერილის ტექსტის შეუცვლელად წაკითხვას ავალდებულებდა.**

**და როგორ მოიქცა ოპოზიცია? არც დაფიქრებულა, წერილი სიტყვასიტყვით წაიკითხა, რითაც ფაქტობრივად დაადასტურა, რომ ისინი დასავლურ ძალებზე სრულად დამოკიდებული არიან, რომლებიც ქვეყნის შიდა პოლიტიკაში სერიოზული სახით მოლაპარაკე თოჯინებად იქცნენ. ეს საერთაშორისო დონის სკანდალია. ქართული საზოგადოება პასუხებს მოითხოვს: ვინ არიან ისინი, ვინც უცხო ქვეყნის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებენ და რა მიზნებს ემსახურებიან? აგრეთვე, პასუხისგება მოუწევთ იმ უცხოელ აქტორებსაც, რომლებიც საქართველოს სუვერენულ გადაწყვეტილებებში უხეშად ერევიან. ეს არის პირდაპირი ჩარევა ქვეყნის შიდა საქმეებში. ფაქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო ნორმას და წარმოადგენს შეურაცხყოფას როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის, ისე ქართული საზოგადოების ნებისადმი.**

**საბოლოოდ, ეს შემთხვევა აჩვენებს: პოლიტიკური აგენტურის ქსელი, რომელიც წლებია სხვადასხვა ფორმით ცდილობს საქართველოს შიდა პოლიტიკური დღის წესრიგის კონტროლს, დღეს სრულიად გამჭვირვალე გახდა. ახლა დროა, ქვეყანა საკუთარ გზაზე მყარად იდგეს, გარე ჩარევის და „დამხმარე" ხელების გარეშე, რომლებიც დიდი ხანია მარწუხებად იქცნენ"...**



November 28th action announcement text- briefing.

If possible avoid making radical changes to the text.

We are here - unstoppable resistance!



November 28 marks a year since the illegitimate regime, the author of the promise "move with dignity to Europe," made an open statement of its indignity, Russianness and rejection of the European path. The Georgian people are responding to the regime's systematic torture, degrading treatment and hostage-taking of people fighting for Georgia's freedom with dignity, relentless struggle and solidarity with each other.

By rejecting a European future, Ivanishvili carried out a constitutional coup against the will of the absolute majority of Georgian citizens. Our fight is the battle for this country's constitution, for a European future, for the security and well-being of Georgian citizens, for the unification of the country, for quality education, and for many other benefits that are only possible in the European space.

Today we stand here the participants of the ongoing resistance, civil society organizations, protest groups, political parties, and representatives of political prisoners and together we declare that the regime has failed to do the most Important thing—stop the resistance. Ivanishvili will not win as long as we fight, act, and do not give up.

We address the political prisoners in prison: we want you to know that we will not stop, we will not stop fighting, we will not give up until you are all released and new, free, and fair elections are called in which the people can make the choice they want once and for all.

On November 28 at 7pm we will gather at Tbilisi State University from where a protest march will take place towards Rustaveli Avenue.

We are here, we are the majority and we will fight until victory!

## ზაალ მიქელაძე: სამარცხვინო, უთავმოყვარეო „უსამშობლოები" მუდამ ასე „სხვის დაკვეთაზე" აგენტობდნენ

**„სადამდე დაეცით? ხორცის შემდეგ სულიც გაყიდეთ?"** – ასე მიმართავს „ხალხის ძალის" წევრი ზაალ მიქელაძე სოციალურ ქსელში რადიკალურ ოპოზიციას, რომლის წარმომადგენელმა ლევან ჯოხაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე გაახმოვანა ადგილობრივი ოპოზიციისათვის ევროკავშირის მაღალჩინოსნის მიერ გამოგზავნილი მიმართვა.

**„სამარცხვინო, უთავმოყვარეო „უსამშობლოები" მუდამ ასე „სხვის დაკვეთაზე" აგენტობდნენ. ცალ ფეხზე დგომიდან – კრემლად ქცეული ბრიუსელიდან – ცერზე დგომით „შეუცდომლად" ტელეფონიდან სამშობლოს სიძულვილის მესიჯს აკითხებენ.**

**სადამდე დაეცით? ხორცის შემდეგ სულიც გაყიდეთ? და ამ ფონზე მადლობა ამ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ყველა ჯერზე სწორად აფასებენ მტერ-მოყვარეს, ჩვენ ერთად დგომით შევქმნით ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებულ ქვეყანას",** – წერს **ზაალ მიქელაძე** სოციალურ ქსელში.

## თენგიზ შარმანაშვილი: თურმე ასეთი უუფლებო აგენტურა თარეშობდა...

**თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თენგიზ შარმანაშვილი რადიკალური ოპოზიციის მიერ ჩატარებულ ბრიფინგს ეხმიანება.**

შარმანაშვილი ოპოზიციას „უუფლებო აგენტების" სახელით მოიხსენიებს, რამდენადაც მათ უცხოელი პატრონების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტში ტექსტის ცვლილებაც კი არ შეუძლიათ.

**„ასეთი უუფლებო აგენტურა თარეშობდა ამდენი ხნის განმავლობაში თურმე. პატრონების გამოგზავნილი ტექსტის კორექტირებაც არ შეუძლიათ. რა ვქნათ ახლა, გავაგზავნოთ საბოლოოდ ისტორიის სანაგვეზე ეს ხალხი თუ ვთხოვოთ მათ პატრონებს, მეტი ავტონომია მისცეს აქაურ აგენტებს? პირველი აჯობებს"!..**



## შალვა პაპუაშვილი: ბრიუსელი ყალბი მორალისტის როლში

**„როდესაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანიც კი იძულებულია, საჯაროდ მიუთითოს ბრიუსელს, რომ შეეშვას სხვა ქვეყნების მიმართ შენიშვნების ტონით საუბარს, აშკარაა, რომ ბრიუსელი უკვე ზედმეტად ღრმად შევიდა ყალბი მორალისტის როლში. ჩვენი სათქმელიც ეს არის",** – წერს **პაპუაშვილი**.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **მარკო რუბიომ** განაცხადა: **„არ მგონია, ევროკავშირს ჰქონდეს უფლება, განსაზღვროს, რა არის საერთაშორისო სამართალი, მას არ აქვს უფლება, განსაზღვროს, როგორ დაიცავს ამერიკის შეერთებული შტატები საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებას",** – ამბობს **პაპუაშვილი** სოციალურ ქსელში.

## თურქი პროკურორები სტამბოლის მერისთვის 2000-წლიან პატიმრობას ითხოვენ



**სტამბოლის ყოფილ მერს ექრემ იმამოღლუს 2000 წელზე მეტი ხნით პატიმრობა ემუქრება. პროკურატურა თურქ ოპოზიციონერ პოლიტიკოსს კორუფციული ქსელის შექმნაში ადანაშაულებს.**

ის პრეზიდენტ ერდოღანის მთავარ მეტოქედ ითვლება. მისი პარტია, CHP (Cumhuriyet Halk Partisi – რესპუბლიკური სახალხო პარტია), ასევე პროკურატურის სამიზნეა. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ექრემ იმამოღლუმ თურქეთის სახელმწიფოს მილიარდობით დოლარის ზარალი მიაყენა. სასამართლო დოკუმენტების თანახმად, საქმეში 142 ბრალდებაა, რაც, ჯამში, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2000 წელზე მეტი ხნით.

## ნაპრეზიდენტალი ციხეში დააბრუნეს!

**პენიტენციური სამსახური: ვინაიდან მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი და მას აღარ ესაჭიროება სტაციონარული მკურნალობა, დაბრუნდა N12 პენიტენციურ დაწესებულებაში**

**მიხეილ სააკაშვილი N12 პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნდა. განცხადებას სპეციალური პენიტენციური სამსახური ავრცელებს.**

**„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი, სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, 2022 წლის 12 მაისს გადაყვანილ იქნა კლინიკა ვივამედში, სადაც ის ამ დრომდე იმყოფებოდა და მიეწოდებოდა შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამოქალაქო სექტორის სამკურნალო დაწესებულებიდან პაციენტის პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნება ხორციელდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მკურნალი ექიმის გადაწყვეტილების საფუძველზე.**

## ნაპოლეონ ბონაპარტის გულსაბნევი თითქმის 4 მილიონ ევროდ გაიყიდა



**აუქციონის სახლმა „სოთბიმ" გამოაცხადა, რომ ალმასის გულსაბნევი, რომელსაც ნაპოლეონ ბონაპარტი ატარებდა, ოთხშაბათს, 12 ნოემბერს, ჟენევაში რეკორდულ ფასად, თითქმის ოთხ მილიონ ევროდ გაიყიდა. ეს თანხა ამ ძვირფასი სამკაულის საწყის შეფასებებს ბევრად აღემატება.**

საქართველოს რესპუბლიკა

## საქართველოს პროკურატურამ ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

# განკითხვის დღე დადგა!..



**ამის შესახებ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გიორგი გვარაკიძემ 12 ნოემბრის ბრიფინგზე განაცხადა.**

**როგორც გვარაკიძემ განაცხადა, საქმე ეხება 2019 წლის 20-21 ივნისის და ჩორჩანის ეპიზოდებს.**

**„კერძოდ, პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას ორზე მეტი პირის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზებისა და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს“,** – განაცხადა **გიორგი გვარაკიძემ.**

ბრალდება, რომელიც გიორგი გახარიას წარედგინება, სასჯელის სახედ და ზომად 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**„საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ე.წ. 20 ივნისის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2024 წლის 7 მაისს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, 2019 წლის 20-21 ივნისს თბილისში, პარლამენტის სასახლესთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული დარღვევა და სახელმწიფოს დაევალა გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ასევე მიეცა რეკომენდაცია, შეეფასებინა ღონისძიების დაგეგმვასა და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ქმედებები. შესაბამისად, ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის საგამოძიებო ექსპერიმენტები დაზარალებულთა მონაწილეობით, დამატებით გამოიკითხა ასეულობით მოწმე, ჩატარდა ასზე მეტი სხვადასხვა სახის ექსპერტიზა. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოიკვეთა კონკრეტული პირის – გიორგი გახარიას ბრალეულობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: 2019 წლის 20 ივნისს, საღამოს საათებში თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე, თავდაპირველად მშვიდობიანი დემონსტრაცია ძალადობრივ აქტივობებში გადაიზარდა. მომიტინგეთა ნაწილმა ძალადობის გზით სცადა პარლამენტის შენობაში შეღწევა.**

**მათ დაიწყეს პარლამენტის შენობის წინ განთავსებული სამართალდამცავების მიმართ ძალადობა, სხვადასხვა ნივთების გამოყენებით მათზე თავდასხმა, მათი ნივთების დაზიანება და განადგურება. მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს ინსტრუქციისა და კანონმდებლობის უგულებელყოფით დაავალა სპეციალურ საშუალებათა ერთობლივად, პარალელურ რეჟიმში გამოყენება, ყოველგვარი გაფრთხილებისა და აქციის მშვიდობიანი მონაწილეებისათვის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობის მიცემის გარეშე, რითიც ორგანიზება გაუწია მოქალაქეთათვის ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას. შედეგად, სპეციალური საშუალებების, მათ შორის რეზინის ტყვიების ერთობლივად გამოყენებით ათეულობით მოქალაქემ მიიღო სხვადასხვა ხარისხის დაზიანება, მათ შორის ორმა მოქალაქემ დაკარგა თვალი, ხოლო ხუთმა მოქალაქემ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.**

* * *

**რაც შეეხება ბრალდების მეორე ეპიზოდს: გამოძიებით დადგენილია, რომ 2019 წლის 24 აგვისტოს იმჟამინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ, რომელიც ამავდროულად ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი და მუდმივი წევრი იყო, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უფლებამოსილების იგნორირებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეუთანხმებლად, ასევე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან კოორდინაციისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინფორმირების გარეშე, ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, სოფელ ჩორჩანასთან დამატებითი საპოლიციო საგუშაგოს აღმართვის შესახებ. აღნიშნული ფაქტი გიორგი გახარიას ინიციატივითა და მონაწილეობით ფართოდ გაშუქდა მედიაშიც.**

**როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული ქმედებები საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების საბაბად გამოიყენეს. კერძოდ, 2019 წლის 5 სექტემბერს ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა სიმაღლეები დაიკავეს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. საოკუპაციო ძალების კონტროლქვეშ აღმოჩნდა დაახლოებით ასი ჰექტარი ტყის მასივი. ადგილი ჰქონდა სხვადასხვა უკანონო აქტივობას, მძიმე სამხედრო ტექნიკის გადაადგილებას დასახლებული პუნქტებისკენ, რამაც მხარეებს შორის შექმნა შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტის რეალური საფრთხე. ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამატებით მოექცა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების, ყოზისა და წნელისის მკვიდრთა საცხოვრებელი სახლები.**

**აღნიშნული ქმედებით გიორგი გახარიამ განზრახ გადაამეტა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს, რამაც საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. გიორგი გახარიას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით და 333-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარედგინება, რაც სასჯელის სახედ და ზომად 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“.**



# ფრანგი „დიპლომატის“ არადიპლომატიური გზა

## „თუ ჩათვალეს, რომ ამოწურეს ყველა მეთოდი, ისინი შეიძლება წავიდნენ რადიკალურ სცენარზე“



**საფრანგეთის ახალი ელჩი ოლივიე კურტო, 15-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს ფარულად შეხვდა. დეტალები უცნობია. ე.წ. „დიპლომატიური შეხვედრებისთვის“ ამჯერად ჭანტურიას ქუჩაზე ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსი შეირჩა. კონსპირაციულ შეხვედრას 15-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა.**

მათ შორის იყო ყოფილი დიპლომატი, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ არა-აღმასრულებელი დირექტორი გელა ბეჟუაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ კონსპირაციულ ბინაში შედგა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა.

შეხვედრის მონაწილე არასამთავრობოები მედიასთან არ ჩნდებიან. მმართველი გუნდის შეფასებით, კითხვებს იწვევს ის, თუ რატომ ჩაატარა ელჩმა შეხვედრა ბინაში ორგანიზაციებთან, რომლებიც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა თქმით, ანტიქართულ და ანტიკონსტიტუციურ აქტივობებში არიან მხილებულები. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლევან მაჭავარიანი** აცხადებს, რომ დახურული შეხვედრა იყო, თან ბინაში, არც საჯაროობა ჰქონდა ამ შეხვედრას, რაც, მისი თქმით, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნებს აჩენს და იმედი აქვს, რომ ელჩისგან განმარტებები გაკეთდება.

„ხალხის ძალის“ წევრი, დეპუტატი **გურამ მაჭარაშვილი** თვლის, რომ როდესაც საფრანგეთის ელჩი ჩუმად ხვდება და არა საჯაროდ „ენჯეოს“, ეს ნიშნავს ზუსტად იმას, რომ უცხოური ინტერესები საქართველოში არის ისევ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ანალიტიკოსის **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, რბილად რომ ვთქვათ, ეს არის აბსოლუტურად გაუგონარი ნაბიჯი ახლადდანიშნული ელჩის მხრიდან, რომ შეხვდეს კერძო ბინაზე, კონსპირაციულად, არასამთავრობო ორგანიზაციებს, როდესაც მას სრული უფლება ჰქონდა და ამის უფლებას მას აძლევს მისი სტატუსი, როგორც საფრანგეთის ელჩს საქართველოში, რომ საზოგადოების ნებისმიერ ფენას შეხვდეს საელჩოში, უმასპინძლოს და მათგან მიიღოს ინფორმაცია.

**„ეს არის ელჩის ფუნქცია. თუნდაც ყველაზე უფრო მარგინალური ოპოზიციის წარმომადგენლებს და ამაში დასაძრახი არაფერია იმიტომ, რომ ელჩმა უნდა იცოდეს სრული ინფორმაცია, რა ხდება საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, როცა შენ ასე ხვდები კონსპირაციულად არასამთავრობო ორგანიზაციას, ესე იგი, რაღაც გაქვს დასამალი, რაღაც ისეთი გაქვს სათქმელი, რომელიც არ გინდა, რომ საჯაროდ გავრცელდეს.**

**საერთოდ, საელჩოების მუშაობის კარგი პრაქტიკა არის ის, რომ როცა ისინი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს ხვდებიან, ამაზე საელჩოს ვებ-გვერდზე იდება ინფორმაცია და არავის არანაირი კითხვები არ აქვს. თუმცა, როდესაც ეს ხდება ფარულად, კონსპირაციულად, ეს უკვე არის პრობლემა. ელჩმა თავის ირგვლივ შექმნა ზუსტად ისეთი უარყოფითი აურა, როგორიც შექმნეს სხვა ელჩებმა, რომლებიც თავიანთი მოქმედებით მხარს უჭერდნენ ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფებს, პარტიები იქნება, თუ ენჯეოები. ცუდად დაიწყო საფრანგეთის ელჩმა“,** – აცხადებს ზაალ ანჯაფარიძე.

როგორც ანალიტიკოსმა აღნიშნა, ომის წარმოების ახალი რეალობა, რომლის წინაშეც საქართველო უკვე დადგა, ეს არის ქვეყნის შიგნიდან აფეთქება, როგორც ბრძოლის გზა. მისი თქმით, ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმა რამდენჯერმე წარუმატებლად სცადეს აქ ამის გაკეთება და ამ მეთოდის მზაკვრობა იმაშია, რომ ის მიმართულია ქვეყნის გამოფიტვაზე მანამდე, ვიდრე სასურველი შედეგი არ დადგება. ანალიტიკოსის განცხადებით, ამიტომაც არ წყდება რუსთაველზე, თუნდაც 100-კაციანი აქციები. ამას დაემატება სხვა მეთოდებიც, მაგალითად, ეკლესიის შიგნიდან გახლეჩვის მცდელობა.

**„რაც შეეხება აქციებს, რომელიც მიდის რუსთაველზე, აქ არის რამდენიმე საინტერესო მომენტი. სავსებით ცხადია და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ამ აქციებს ჰყავთ თავიანთი კოორდინატორები და კურატორები, ასევე ჰყავთ თავიანთი სპონსორები, რომლებიც ამ ყველაფერს აფინანსებენ. რეალურად, ოპოზიციურ კლასტერს სხვა მეტი საჩვენებელი დასავლეთისთვის არაფერი აქვს, გარდა იმისა, რომ ყოველდღიურად, რუსთაველზე იკრიბება 100, თუ 150 ადამიანი და დგანან გარკვეული პერიოდი, ცდილობენ ქუჩის გადაკეტვას და ქმნიან ხმაურს, ეს მერე ვრცელდება მედია-საშუალებებით, გადის საზღვრებს გარეთ და იქ მერე ქმნის გარკვეულ აღქმებს.**

**სწორედ აღქმების შედეგად არის ჩამოყალიბებული ის განცხადებები, რაც ჩვენ მოვისმინეთ ევროკავშირის გაფართოებისადმი მიძღვნილ სხდომაზე და გაფართოების საკითხებში ევროკომისიის ევროკომისრის განცხადება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყური უნდა მოუგდოს საკუთარ ხალხსო, ანუ ვის თვლით ხალხად? ვინც არის გამოფენილი რუსთაველზე? ეს არის მათი ფილოსოფია და ეს დაადასტურა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტმა საქართველოში, რომელიც დემონსტრაციულად მივიდა რუსთაველზე მხარდასაჭერად და მერე „ტვიტერზე“ დადო თავისი ცნობილი ვიდეო-ბლოგი და ამით არ მოერიდა საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაფუჭებაც, ოღონდ კი შეესრულებინა ეს მისია, რომ ეჩვენებინა საპროტესტო მასისთვის, რომ თქვენ ჯერ კიდევ ხართ დასავლეთის მხარდაჭერის ობიექტი, ანუ როდესაც ამბობენ, რომ ეს აქციები არის თვითორგანიზებული, არავითარ შემთხვევაში, ყველაფერი ძალიან კარგად არის ორგანიზებული,** – განაცხადა **ზაალ ანჯაფარიძემ.**

**თამთა ქარჩავა**

## ბინძური დეზინფორმაცია

# მატყუარა მჩხიბავთა კლანი სამართალმა უნდა ამხილოს!





მაკა ჩიხლაძე

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალური განცხადება

**მას შემდეგ, რაც საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ღიად და გამჭვირვალედ დაიწყო ბრძოლა „საქართველოს უნივერსიტეტის" დამფუძნებელთა მხრიდან მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული კუთვნილი უძრავი ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გახშირდა დისკრედიტაციის მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მის რექტორზე, აკადემიკოს დავით გურგენიძეზე აშკარა და ბინძური დეზინფორმაციული კამპანიის ავტორების მცდელობები, რაც საზოგადოების შეცდომაში გამიზნულად შეყვანას ისახავს მიზნად,** – ამის შესახებ ტექნიკური უნივერსიტეტის განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აღნიშნულ ფაქტებს განიხილავს, როგორც დაინტერესებული მხარისაგან წარმოებულ ზეწოლას და მცდელობას, დაიფაროს ის უსამართლობა, რასაც 2004-2008 წლებში ეტაპობრივად და გამიზნულად ჰქონდა ადგილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ და რაც დასრულდა კიდეც მისი კუთვნილი უძრავი ქონების უკანონო გასხვისებითა და საქართველოს უნივერსიტეტის დამფუძნებელ გიული ალასანიასთვის გადაცემით.**

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დარწმუნებულია, რომ ქალბატონი გიული ალასანია, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დედა, იმდროინდელი დანაშაულის დაფარვის მიზნით დღეს ცდილობს, პირდაპირი თუ ირიბი დარტყმები მიაყენოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, მის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებს და მოახდინოს უნივერსიტეტის დისკრედიტაცია საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის თვალში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი უკანონოდ გასხვისებული კუთვნილი უძრავი ქონების დასაბრუნებლად ბრძოლის დაწყებისთანავე გამოთქვამდა და ახლაც გამოთქვამს მზადყოფნას, ღირსეულად გაუმკლავდეს და კანონიერი გზით მოიგერიოს ის დარტყმები, ზეწოლა და თავისი კანონიერი მოთხოვნის პოლიტიკურ ჭრილში გადატანის უხეში მცდელობები, რასაც დაინტერესებული მხარისაგან პირდაპირ თუ ირიბად არაერთხელ ჰქონია ადგილი სხვადასხვა საზოგადოებრივ სივრცეში, სოციალურ ქსელებსა და, განსაკუთრებით, რადიკალურად განწყობილი ტელეკომპანიების ეთერში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ამჯერადაც სწორედ აღნიშნული თემაა ტელეკომპანია „ტვ პირველის" ჟურნალისტის მაკა ჩიხლაძის ირიბი დაინტერესების და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე, მის რექტორსა და სამეცნიერო წრეებზე მორიგი შეტევის მიზეზი, რაც რექტორისა და მისი ოჯახის ქონებით, ასევე, საუნივერსიტეტო ქონებით დაინტერესებაში გამოიხატება.

გვინდა, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე და მისი ოჯახი 2001 წლამდე პერიოდში ეწეოდნენ ბიზნესსაქმიანობას და ფლობდნენ სოლიდურ ქონებას – აღნიშნული ფაქტი ფართო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დავით გურგენიძე წარმატებით ახორციელებდა ბიზნესს ჯერ რუსეთში, შემდეგ კი ავსტრიაში, საფრანგეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. 2001-2004 წლებში, საჯარო მოხელედ მუშაობის პერიოდში, დავით გურგენიძე იმდროინდელი სახელმწიფო უწყების – თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს მოთხოვნის შესაბამისად, რეგულარულად ავსებდა „ცნობას თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების წარმოდგენის თაობაზე", რომლებშიც მითითებულია მისი კუთვნილი ქონების წარმოშობის, მათ შორის 2001 წლამდე შეძენილი ქონების შესახებ დეტალური ინფორმაცია. 2004 წლიდან კი დავით გურგენიძემ დატოვა საჯარო სამსახური და ისევ ბიზნესსაქმიანობას დაუბრუნდა. 2007-2010 წლებში კი უკანონოდ ჩამორთმეული მრავალმილიონიანი ქონების დასაბრუნებლად, რაც ასევე ცნობილია საზოგადოებისთვის, დავით გურგენიძემ და მისმა ოჯახმა მრავალგზის შევიწროება, დევნა და არაერთი სირთულე გადაიტანეს. დღეის მდგომარეობით, უკანონოდ ჩამორთმეული ქონება, სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის შესაბამისად, დავით გურგენიძისა და მისი ოჯახისთვის დაბრუნებას ექვემდებარება.

საზოგადოება ინფორმირებულია იმის შესახებაც, რომ დავით გურგენიძე 2012 წლიდან დღემდე სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ეწევა, არის ცნობილი მეცნიერი და ჰიდროინჟინერი; 2020 წლიდან ის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორია, რომელიც 2024 წელს მეორე ვადით იქნა არჩეული; არის მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი, მსოფლიოს არაერთი წამყვანი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და წარმატებით ეწევა საინჟინრო-კვლევით საქმიანობას მსოფლიოს უმსხვილეს სამეცნიერო კოლაბორაციებში, ხოლო ბიზნესსაქმიანობას მისი ოჯახის წევრები აგრძელებენ, რომლებიც არ არიან დასაქმებული საჯარო სამსახურში. საგულისხმოა ისიც, რომ „ტვ პირველის" ჟურნალისტი საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ ერთ-ერთ უძველეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირველ უმაღლეს საინჟინრო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სკოლას, რომელიც, უკვე 103 წელია, ქმნის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველს, დაუსაბუთებლად ედავება და ეჭვქვეშ აყენებს საუნივერსიტეტო სისტემაში მოქმედი ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის კვლევითი ინსტიტუტის ვაკის რაიონში მდებარე ამორტიზებული შენობის აუქციონის წესით გაყიდვისა და მის ნაცვლად თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ახალი კვლევითი კომპლექსის აშენების ნამდვილობას – მით უმეტეს, რომ ამორტიზებული შენობა 2018 წლიდან აღარ წარმოადგენს სტუ-ის საკუთრებას და გადასულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე. ამასთან, აღნიშნული შენობის აუქციონის წესით გასხვისება არ წარმოადგენდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრეროგატივას; შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ამ პროცესში არასოდეს ჩარეულა და ვერც ჩაერეოდა.

სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის კვლევითი ინსტიტუტისთვის ახალი კვლევითი კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს, რომ უკვე შერჩეულია ვრცელი მიწის ნაკვეთი სოფელ დიღომში, სტუ-ის კუთვნილ ტერიტორიაზე; დამტკიცებულია პროექტი, რომლის მიხედვითაც, მომავალი წლიდან, ტერიტორიაზე მცხოვრები დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისთანავე, წყალთა მეურნეობის კვლევითი ინსტიტუტისთვის დაიწყება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კომპლექსის მშენებლობა, სადაც შესაძლებელი გახდება სამეცნიერო კვლევებისთვის საჭირო უახლესი ტექნიკა-დანადგარების და ლაბორატორიების მონტაჟი, ხოლო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს შეექმნებათ საუკეთესო გარემო მუშაობისა და კვლევისთვის.

**ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კვლავაც გამოხატავს მზადყოფნას, სამართლებრივი გზითა და კანონიერების ფარგლებში ღირსეულად დაიცვას თავისი სიმართლე და სამეცნიერო-აკადემიური საზოგადოების ინტერესები. ამასთან ერთად, რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე გამოხატავს სრულ მზაობას, მიუკერძოებელ საზოგადოებრივ სივრცეში დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია როგორც პირადი თუ თავისი ოჯახის, ასევე საუნივერსიტეტო ქონების შესახებ".**

# ქართული მეცნიერების სადარაჯოზე ფხიზლად მდგომი დიდი ისტორიკოსი

„ქართული საისტორიო მეცნიერების დედაბოძი“ – ასე უწოდა სიმონ ჯანაშიას ნიკო ბერძენიშვილმა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია იმ გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთაგანია, რომელთა მხრებზეც დგას დღევანდელი ჩვენი ისტორიოგრაფია.



## სიმონ ჯანაშია – 125

**სიმონ ჯანაშია დაიბადა 1900 წლის 13 ივლისს ოზურგეთის მაზრის სოფ. მაკვანეთში. ჭეშმარიტი პატრიოტის, ცნობილი პედაგოგისა და ეთნოგრაფის ნიკო ჯანაშიას და ელენე მუჯირის ოჯახში. იგი გავშვობიდანვე ეზიარა ეროვნულ კულტურას და გასაკვირი არ არის, რომ თავისი ცხოვრების მიზნად საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლა დაისახა.**

1918 წელს სიმონ ჯანაშიამ წარჩინებით დაამთავრა სოხუმის რეალური სასწავლებელი და იმავე წელს ახლადგახსნილ თბილისის უნივერსიტეტში შევიდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. ის ერთდროულად ორ დარგს – ისტორიასა და ენათმეცნიერებას ეუფლებოდა. სწავლების წლები არ ყოფილა დალხენილი: „პროფესორები მშიერ ულუფაზე ისხდნენ, სტუდენტების მატერიალურ უზრუნველყოფაზე სტიპენდიებით, საერთო საცხოვრებლებით და სახელმძღვანელოებით შეუძლებელი იყო ოცნება. უნივერსიტეტის შენობა გაუთბობელი და გაუნათებელი რჩებოდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა და პროფესორთა მშობლიური ხალხისა და მეცნიერების ღრმა სიყვარულმა გახადა შესაძლებელი უნივერსიტეტის არსებობა“ – იგონებდა მოგვიანებით სიმონ ჯანაშია.

**პროფესორთა ყურადღება არც მას მოჰკლებია, განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილის და აკაკი შანიძის მხრიდან. ივ. ჯავახიშვილმა „ტოლ ამხანაგთაგან“ მალევე გამოარჩია „ნიჭით, მკვირცხლი გონებითა და შრომის მოყვარეობით“ დაჯილდოებული სტუდენტი და მისი შუამდგომლობით სიმონ ჯანაშია, საუნივერსიტეტო კურსის დამთავრებისთანავე დატოვებულ იქნა პროფესორობისთვის მოსამზადებლად სპარსეთ-საქართველოს ისტორიის კათედრასთან.**

1926-1927 წწ. ჩააბარა სადოქტორო გამოცდები საქართველოს ისტორიასა და სპარსეთის ისტორიაში. 1926 წლიდანვე ს. ჯანაშია მიიწვიეს სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ენისა და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ლექტორად.

ს. ჯანაშიას მთელი შემდგომი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა უნივერსიტეტს. 1935-1946 წლებში ის ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის კათედრას, რომლის პროფესორად 1935 წელს აირჩიეს; 1936 წლიდან ს. ჯანაშია იყო საქართველოს ისტორიის კათედრასთან არსებული საქართველოს ისტორიის კაბინეტის გამგე. კაბინეტმა დააარსა ახალი სერია – „უცხო მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ“ და დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ისტორიის უცხოენოვანი წყაროების აკადემიური გამოცემისთვის. ს. ჯანაშია კითხულობდა ლექციებს და ხელმძღვანელობდა სემინარებს. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა არაერთი პედაგოგი თუ მკვლევარი – ისტორიკოსი, არქეოლოგი, ენათმეცნიერი.

**1938 წელს სიმონ ჯანაშიამ წარმატებით დაიცვა დისერტაცია „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა ქართველ ტომებში“ და მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ეს დღე „მეცნიერების ზეიმად“ შეფასდა (ნ. ბერძენიშვილი).**

სიმონ ჯანაშიას სამეცნიერო ასპარეზი მხოლოდ უნივერსიტეტით არ შემოიფარგლებოდა. 1936 წლიდან ის სათავეში ჩაუდგა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს, რომელიც ქართველოლოგიური კვლევების მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. ინსტიტუტში დიდი ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდა კადრების მოზიდვასა და აღზრდას – 1939 წლისთვის ინსტიტუტს 25 ასპირანტი ჰყავდა.

1939 წელს ს. ჯანაშია დაინიშნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილედ. ფილიალის ბაზაზე 1941 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი ს. ჯანაშია იყო. იმავე წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი ენათმეცნიერებისა და ისტორიის ინსტიტუტებად გაიყო. 1943 წლამდე ორივე ინსტიტუტს ს. ჯანაშია ხელმძღვანელობდა, ხოლო 1943 წლიდან გარდაცვალებამდე – მხოლოდ ისტორიის ინსტიტუტს.

ს. ჯანაშიას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა კარგად იყო ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. 1943 წელს იგი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, ხოლო 1946 წელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

ს. ჯანაშია დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით (1941, 1944), შრომის წითელი დროშის ორდენით და სამხედრო მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ (1945), სტალინური პრემიით (1943, 1946). ის არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად (1939) და სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად (1946).

**სიმონ ჯანაშიას პირველი სამეცნიერო ნარკვევი 1923 წელს დაიბეჭდა. 1932 წლიდან ის ზედიზედ აქვეყნებს უაღრესად ორიგინალურ ნაშრომებს. ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური და ენათმეცნიერული განათლება და დიდი ერუდიცია შესაძლებლობას აძლევდა, სრულიად ახლებურად დაესვა და გადაეწყვიტა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.**

ს. ჯანაშიას სამეცნიერო ინტერესთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემა და ძველ ქართველ ტომთა ისტორიულ-გეოგრაფიული სარბიელის ძიება წარმოადგენდა. XX საუკუნის 30-იანი და 40-იანი წლების დასაწყისის აღმოსავლეთმცოდნეობის მიღწევების გათვალისწინების შედეგად მან უარყო ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისი წინა აზიიდან ქართველთა მიგრაციის შესახებ, ახლებურად დასვა ქართველთა და ძველი აღმოსავლეთის ეთნოსთა მონათესაობის საკითხი და შეეცადა, ამ უკანასკნელთა შორის ადგილი მოეძებნა ჩვენი წინაპრებისათვის. მართალია, ორიენტალისტიკის მიერ შემდგომ პერიოდში მოპოვებული დიდძალი ახალი მონაცემების შუქზე არაერთმა საკითხმა ახლებური ინტერპრეტაცია მიიღო, მაგრამ ს. ჯანაშიას მიერ დასმული კარდინალური საკითხი კავკასიაში ქართველთა ავტოქტონობის შესახებ დღესაც ურყევია.

ფასდაუდებელია ს. ჯანაშიას გამოკვლევა ძველი ქართლისა და ეგრისის, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ისტორიული გეოგრაფიის დარგში. ამ შემთხვევაშიც ის თავისი ერის სადარაჯოზე იდგა, იცავდა მის ისტორიას ფალსიფიკატორებისგან. ერთ ასეთ მოვლენასთან დაკავშირებით ს. ჯანაშია მოსწრებულად შენიშნავდა:

**„ზოგიერთ სერიოზულ საბჭოთა გამოცემაშიც აღებული ხანის (ანტიკური ხანის – ავტ.) იბერიის ტერიტორია ფანტასტიკური სახითაა წარმოდგენილი: სამხრეთი საზღვარი ... მცხეთიდან მოყოლებული მტკვრის მარცხენა ნაპირს მიჰყვება, ხოლო აღმოსავლეთისა – არაგვის... თუ იბერიის პოლიტიკური საზღვრების ამგვარ განმარტებას დავეთანხმებოდით, მივიღებდით ორიგინალურს, – უთუოდ უნიკალურს მსოფლიო ისტორიაში, – ვითარებას, როცა ერთი სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში – იბერიის) დედაქალაქის (მცხეთის!) უდიდესი ნაწილი ორი უცხო სახელმწიფოს ფარგლებში მდებარეობს: ერთი მესამედი, სამეფო რეზიდენციის (არმაზი!) შემცველი, – არმენიაში, მეორე მესამედი კი (არაგვის მარცხენა ნაპირზე) – ალბანიაში!“**

უაღრესად მნიშვნელოვანია ს. ჯანაშიას მიერ დასმული საკითხი ქართველ ტომთა სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრების გადმონაცვლებისა სამხრეთიდან ჩრდილოეთით. პოლიტიკური ცენტრების, საზღვრებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების ადგილმდებარეობის დადგენით მან გაასწორა არაერთი ხარვეზი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ბატონობდა და საშუალება მისცა მკვლევრებს, უფრო რეალურად წარმოეჩინათ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე ისტორიული პროცესები.

უაღრესად აქტუალურია ს. ჯანაშიას ის ნარკვევები, რომლებიც აფხაზეთის ისტორიასა და კულტურას ეხება. ამ ნაშრომებში ს. ჯანაშია ასაბუთებს ქართულ-აფხაზურ ეთნიკურ მონათესაობას და კულტურულ ერთობას, უძველესი დროიდან მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს. მისი მტკიცებით, ქართულ ენასა და კულტურას თავისი როლი არ დაუკარგავს აფხაზეთში გვიან შუა საუკუნეებში, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის ჟამს. სწორედ ამ ტრადიციამ განსაზღვრა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის შვილის, გიორგი შარვაშიძის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში.

**ყველაზე დიდი წვლილი, რაც ს. ჯანაშიამ შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში და რომელიც მუდამ დარჩება მის უდიდეს დამსახურებად საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის მეცნიერული შემეცნების თვალსაზრისით, ეს არის მისი ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პროცესს პრეისტორიული ხანიდან ადრე შუა საუკუნეებამდე. მისი კონცეფცია ქართველი ხალხის საზოგადოებრივი განვითარების მაგისტრალური ხაზის შესახებ შესანიშნავად დადასტურდა არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებით (პირველ ყოვლისა, არმაზისხევის პიტიახშთა რეზიდენციისა და სამაროვნის მონაპოვარით) და დღესაც სახელმძღვანელოა ქართულ ისტორიოგრაფიაში.**

დიდია სიმონ ჯანაშიას ღვაწლი ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში.1937 წლიდან არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას საქართველოში წარმართავს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით. ინსტიტუტში შეიქმნა არქეოლოგიის სექტორი, რომელიც ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ დასახული გეგმით აწარმოებს სისტემატურ არქეოლოგიურ სამუშაოებს. არქეოლოგიური გათხრები მცხეთით დაიწყო. სამუშაოებს ჯერ ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო 1940 წლიდან – ს. ჯანაშია. ის მონაწილეობდა ყოველი არქეოლოგიური სამუშაოს დაგეგმვასა და შესრულებაში.

**ს. ჯანაშია ივ. ჯავახიშვილთან და ნ. ბერძენიშვილთან ერთად იყო „საქართველოს ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს თანაავტორი და რედაქტორი. ეს იყო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელო, რომელმაც დიდი სიყვარული და მოწონება დაიმსახურა. სახელმძღვანელოს სტალინური პრემია მიენიჭა (1946 წ.).**

აღსანიშნავია, აგრეთვე, ს. ჯანაშიას ენათმეცნიერული გამოკვლევები იბერიულ-კავკასიური ენების შესახებ, ჩრდილოკავკასიური ენების ქართველურთან გენეტიკურ თუ ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა გარკვევა.

**„სიმონ ჯანაშია იყო იშვიათი მეცნიერი, რომელმაც შეითვისა დიდი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი. სადაც ისტორიული წყაროებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების სიღარიბე იყო, იქ მან გამოიყენა ენათმეცნიერების მკაცრი მეთოდების მომარჯვებითა და გონებამახვილური მიხვედრილობით ხალხთა სულიერი შემოქმედების ყველაზე არსებითი იარაღის – ენის მონაცემები და ამით შეავსო არსებული ხარვეზი; ხოლო ენობრივი ფაქტების ანალიზისას ისტორიკოსის მახვილი თვალით ჩახედა მათში და ამ გზით ნათლად აღადგინა შორეული წარსულის ნამდვილი სურათი“ – ასე დაახასიათა სიმონ ჯანაშიას სამეცნიერო შემოქმედება აკად. ვარლამ თოფურიამ.**

„ქუდზედად დაყოლილმა ავადმყოფობამ“ მეტისმეტად ადრე შეწყვიტა შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის „განსაკუთრებით შინაარსიანი“ ცხოვრება. 1947 წლის 15 ნოემბერს, დილის 6 საათზე, ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, სიმონ ჯანაშია გარდაიცვალა. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში. „არავინ იდგა ჩვენს შორის მეცნიერული სინდისის სადარაჯოზე უფრო ფხიზლად, ვიდრე სიმონი, არავინ იყო სიმონზე უფრო პრინციპული, უშიშარი და გამყალბებელთა მიმართ ულმობელი, მაგრამ არც არავინ იყო მასავით სათუთი, გულთბილი და თავაზიანი. ამიტომ იყო, რომ ეს ახალგაზრდა კაცი მამად მიაჩნდა არა მარტო მის მოწაფეებს, მის უფროს თაობასაც“ – აღნიშნავდა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში ნიკო ბერძენიშვილი.

**კიდევ ერთი ამონარიდი ნ. ბერძენიშვილის გამოსვლიდან: „ამ მცირე დროშიც სიმონმა იმდენი გააკეთა, რომ პირნათელი წარდგა სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებულ და დამაშვრალ გმირთა წინაშე, მთაწმინდას რომ განისვენებენ“.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**საქართველოს ეკონომიკაში ახალი სიტყვა ითქვა — ორი მასშტაბური კვლევა: „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასება, 2022“ და „ცირკულარობის გზამკვლევი საქართველოსთვის, 2024“, ქვეყანაში პირველად გვთავაზობს სრულ სურათს იმის შესახებ, სად ვართ დღეს და როგორ შეგვიძლია გადავიდეთ სრულიად ახალ ეკონომიკურ მოდელზე – ცირკულარულ ეკონომიკაზე.**

ეს ნაშრომები, რომელთა ავტორები არიან: დ-რი **დარიუშ ედვარდ პრასეკი** – გაეროს ცირკულარული ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ამერიკათაშორისი განვითარების ბანკის (IDB Invest) განვითარების პროექტების დამოუკიდებელი ექსპერტი, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხების საერთაშორისო ექსპერტი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი; აკად. **სოლომონ პავლიაშვილი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე; დ-რი **მარიამ ქიმერიძე** – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“-ს თავმჯდომარე, გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობის და მდგრადობის საკითხების ექსპერტი და დ-რი **მედგარ ჭელიძე** – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობის და მდგრადობის საკითხების ექსპერტი – **გვთავაზობენ სისტემური და სამოქმედო ხასიათის კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპების, პრიორიტეტების და კონკრეტული ღონისძიებების ჩამოყალიბებას.**

# ცირკულარული ეკონომიკა საქართველოსთვის: როგორ შევცვალოთ ეკონომიკური მოდელი

## რატომ არის ეს ახლა მნიშვნელოვანი

**დღეს კაცობრიობა ე.წ. ანთროპოცენის ეპოქაში ცხოვრობს, როცა ადამიანის ეკონომიკური საქმიანობა უკვე თვით ბუნების ბალანსს არღვევს. მსოფლიო ეკონომიკა მხოლოდ 8.6%-ით არის ცირკულარული, რაც ნიშნავს, რომ დანარჩენი რესურსები უბრალოდ აიღება, გამოიყენება და გადაყრილია. ასეთი „წრფივი“ მოდელი („აიღე-დაამზადე-გადააგდე“) ბუნებრივ რესურსებს ამოწურავს და კლიმატის ცვლილებას აჩქარებს.**

პროგნოზის მიხედვით, მასალათა მოხმარება შესაძლოა გაორმაგდეს 2050 წლამდე, რადგან მოსალოდნელია მსოფლიო მოსახლეობის ზრდა ათწლეულში დაახლოებით 500-750 მილიონით, აგრეთვე – ცხოვრების დონისა და მსყიდველუნარიანობის ზრდა ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. ამასთან, მიიჩნევა, რომ გლობალურად მოპოვებული მასალების დაახლოებით 20% ნარჩენად იქცევა, რაც გარემოს დაბინძურების სერიოზული ფაქტორია.

ცირკულარული ეკონომიკა კი ამ პრობლემას ალტერნატიულად წყვეტს. იგი გულისხმობს რესურსების მრავალჯერად გამოყენებას, ნარჩენების მინიმიზაციას და წარმოების დახურულ ციკლში მოქცევას. სწორედ ამ გზით ცდილობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები მწვანე, მდგრად ეკონომიკებზე გადასვლას, და ახლა ამ გზაზე საქართველოც დგება.

2015 წლის დეკემბერში ევროპის კომისიამ მიიღო „ცირკულარული ეკონომიკის ამბიციური პაკეტი“, რომელიც მოიცავდა ნარჩენების მართვის შესახებ განახლებულ კანონმდებლობას. 2020 წლის 12 მარტს ევროპის კომისიამ დაამტკიცა ახალი „ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა“, როგორც ევროპის მწვანე შეთანხმების („European Green Deal“) ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი – ახალი მიდგომა მდგრადი განვითარებისკენ. ბოლო რამდენიმე წელია, რაც ევროპის ქალაქებში, რეგიონებსა და ქვეყნებში ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიების შემუშავება მიმდინარეობს. 2014 წლიდან დღემდე 33 სტრატეგია იქნა მიღებული, ხოლო სულ მცირე 29 სტრატეგია შემუშავების პროცესშია.

საქართველო დღეს მხოლოდ 1.3%-ით ცირკულარულია, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკა თითქმის მთლიანად წრფივად ფუნქციონირებს. სტრატეგიული მიზანია, მომდევნო ათწლეულში ეს მაჩვენებელი გაიზარდოს 6.6%-მდე. ეს ამბიციური, მაგრამ მიღწევადი მიზანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ავტორების კვლევა გვაჩვენებს, რომ რესურსების სწორად გამოყენებით ქვეყანას შეუძლია არა მხოლოდ ბუნების დაცვა, არამედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნაც და ინვესტიციების მოზიდვაც.

საქართველო დღეისათვის ცირკულარობაზე დაჩქარებული გადასვლის ნამდვილი რეგიონული ლიდერია. საქართველო გეგმავს, 2050 წლისათვის ჩამოაყალიბოს საზოგადოება, სადაც ცირკულარული ეკონომიკის პრინციპები ყოველდღიურ ცხოვრებაში იქნება დანერგილი, რაც მდგრადი წარმოებისა და მოხმარების სქემებს წაახალისებს.

## ორი წიგნი — ერთი დიდი იდეა

**2020-2022 წლებში ავტორების მიერ მომზადდა საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასება – მონოგრაფია, რომელიც ამ მიმართულებით ქვეყნისთვის წარმოადგენს პირველ მაღალპროფესიულად შესრულებულ, ფუნდამენტურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კვლევას, რომელიც თავისი შინაარსით, მიზნებითა და ანალიტიკური სიღრმით უკიდურესად მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ისე სახელმწიფო გარემოსდაცვითი პოლიტიკის დაგეგმვისათვის.**

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიის შემუშავების შემდგომ ეტაპზე, 2023-2024 წლებში მომზადდა „ცირკულარობის გზამკვლევი საქართველოსათვის“. ნაშრომი შესრულდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის – „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ფარგლებში. აღნიშნული პროექტების განმახორციელებელი იყო საზოგადოებრივი ორგანიზაცია – საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“.

ცირკულარული ეკონომიკის მიმართულებით ეს უპრეცედენტოდ მასშტაბური კვლევა ასახელებს კონკრეტულ ნაბიჯებს – როგორ შეიძლება ეს სისტემა შეიცვალოს ისე, რომ სარგებელი მიიღოს როგორც ეკონომიკამ, ისე გარემომ. ეს ორი ნაშრომი ერთმანეთს ავსებს: პირველი გვიყვება „სად ვართ“, მეორე – „სად უნდა წავიდეთ“.

პირველი კვლევა აჩვენებს, სად ვიმყოფებით დღეს: საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონე მხოლოდ 1.3%-ია. მეორე კი გვთავაზობს ხედვას – როგორ გავზარდოთ ეს მაჩვენებელი 6.6%-მდე მომდევნო ათწლეულში. ავტორებმა დეტალურად გააანალიზეს 14 ძირითადი დარგი, რომლებიც მშპ-ის ნახევარზე მეტს, 52.9%-ს შეადგენს. მათ შორისაა სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, მშენებლობა, დამამუშავებელი და სამთო-მოპოვებითი მრეწველობა – ის სექტორები, სადაც ცვლილება ყველაზე დიდ შედეგს გამოიღებს.







## სიახლეები, რომლებიც ამ კვლევამ მოიტანა

**ავტორებმა შექმნეს სისტემური მეთოდოლოგია, ინოვაციური შეფასების სისტემა, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ინდიკატორებს. მათ გამოიყენეს ე.წ. ნედლეულის ეკვივალენტების (RME) მოდელი, რაც იშვიათია განვითარებად ქვეყნებში, და ამ გზით პირველად მიიღეს რეალისტური სურათი – რამდენ რესურსს მოიხმარს საქართველო სინამდვილეში.**

კვლევა ემყარება მასალათა ნაკადების ანალიზის (Material Flow Analysis – MFA) მეთოდოლოგიას, რაც თავის მხრივ ითვლება ცირკულარული ეკონომიკის შეფასების თანამედროვე და მაღალკვალიფიციურ ინსტრუმენტად. აღნიშნული მიდგომის მეშვეობით შესაძლებელი გახდა საქართველოს ეკონომიკის ყველა ძირითადი სექტორის – სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, დამამუშავებელი მრეწველობის, ტურიზმისა და ტრანსპორტის – ბუნებრივი რესურსების მოხმარებისა და ნარჩენების წარმოქმნის სრული ციკლის განსაზღვრა. გარდა ამისა, ნაშრომში ცირკულარული ეკონომიკის შესაძლებლობების განსაზღვრისა და შეფასების პროცესში გამოყენებულია ღეშჭLVá ჩარჩო, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს რესურსების განახლებადობის, გაზიარების, ოპტიმიზაციის და ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით. ამ ჩარჩოს გამოყენებამ შესაძლებლობა მისცა ავტორებს, სისტემურად გამოეყოთ ცირკულარული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები თითოეული დარგისთვის და დაესახათ პრაქტიკული გზები რესურსების უფრო პროდუქტიული გამოყენებისა და ნარჩენების მინიმიზაციისათვის.

ავტორებმა პირველად საქართველოში ჩამოაყალიბეს დარგობრივი ხედვა ამ მიმართულებით. შეისწავლეს 14 ძირითადი დარგი, რომლებიც მშპ-ის თითქმის ნახევარს – 52.9%-ს – შეადგენს, ესენია: სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, მშენებლობა, ტრანსპორტი, ტურიზმი, წყლის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა, საცალო და საბითუმო ვაჭრობა, ინფორმაცია და კომუნიკაციები, მომსახურების სექტორი და საჯარო ადმინისტრაცია. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობას (ღვინო, მეცხოველეობა), ენერგეტიკას, მშენებლობასა და სამთომოპოვებით მრეწველობას. კვლევა აჩვენებს, როგორ უკავშირდებიან ეს სექტორები ერთმანეთს და როგორ შეიძლება მათ შორის თანამშრომლობამ შექმნას „წრეზე მოძრავი ეკონომიკა“.

კვლევა განსაზღვრავს სტრატეგიულ ხედვას და ცირკულარობის ოთხ ძირითად მიმართულებას: ნაკადების დავიწროება, შენელება, აღდგენა და წრებრუნვა, და განმარტავს, როგორ უნდა განხორციელდეს ეს თითოეულ დარგში. მაგალითად, მშენებლობაში ყურადღება გამახვილებულია მეორადი მასალების გამოყენებაზე და დემონტაჟის რეგულაცი-

საქართველოს რესპუბლიკა

აზე; სურსათის წარმოებაში, ნარჩენების შემცირებაზე და ადგილობრივი პროდუქციის უპირატესობაზე; მრეწველობაში კი – ციფრული ტექნოლოგიების დანერგვაზე რესურსების დაზოგვისთვის.

ცირკულარული ეკონომიკა მხოლოდ ტექნოლოგიების საკითხი არ არის. ავტორები მრავალფაქტორული მიდგომის საფუძველზე ყურადღებას ამახვილებენ განათლებაზე, კულტურასა და ცნობიერებაზე. აღნიშნულია, რომ ცირკულარული აზროვნება უნდა იწყებოდეს სკოლიდან და გრძელდებოდეს პროფესიულ განათლებაში, რათა საზოგადოება მიხვდეს, რომ ნარჩენი არ არის ნაგავი, ის შეიძლება იყოს ახალი პროდუქტის დასაწყისი. კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებაა ისიც, რომ ცირკულარული ეკონომიკის დანერგვა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინვესტიციებს, არამედ კულტურულ გარდაქმნასაც – მომხმარებელთა ქცევის შეცვლას, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდას და განათლების სისტემაში ახალი მიდგომების დანერგვას. ავტორთა კოლექტივი სრულიად სამართლიანად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური მოდელის გარდაქმნა ვერ განხორციელდება მხოლოდ ტექნოლოგიური ან სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით – აუცილებელია საზოგადოების ცოდნაზე დაფუძნებული ცნობიერების ფორმირება, რომელიც ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს გააიგივებს ცხოვრების წესთან. სწორედ ამ კონტექსტში, ნაშრომი განსაკუთრებულად აჩენს განათლებისა და ცნობიერების ამაღლების როლს, როგორც ეკონომიკური რეფორმის აუცილებელ წინაპირობას. აქვე აღსანიშნავია, რომ მონოგრაფიის შექმნის პროცესში ჩატარებულმა სიღრმისეულმა კვლევებმა და ამ პროცესში ეკონომიკის ცირკულარული მოდელის განვითარებამ შექმნა პრეცედენტი და საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცირკულარული ეკონომიკის სასწავლო დისციპლინის ფორმირებას.

კვლევა წარმოადგენს პრაქტიკულ-სამეცნიერო სახელმძღვანელოს მთავრობისთვის, პოლიტიკის შემქმნელებისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის, კერძო სექტორისთვის: როგორ უნდა გადანაწილდეს პასუხისმგებლობები სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტებსა და ბიზნესს, ბიზნესსა და საზოგადოებას შორის; როგორ უნდა შეიქმნას ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემო და რა ნაბიჯებია საჭირო რეგულაციების გასამარტივებლად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტს, რომ ცირკულარული ეკონომიკა შეიძლება გახდეს საქართველოს სტაბილურობის და ფინანსური უსაფრთხოების ერთ-ერთი საყრდენი, ვინაიდან ცირკულარული ეკონომიკა აღარ არის არჩევანი, არამედ ეს არის აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარებისთვის.

## პირველი ნაბიჯი ახალი ეკონომიკისკენ

**მონოგრაფიები უკვე იქცნენ დიალოგის საწყისად სახელმწიფოს, ბიზნესისა და აკადემიური წრეებისთვის. ისინი აყალიბებენ ეროვნულ ხედვას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკას, გარემოსა და სოციალურ პასუხისმგებლობას. ცირკულარული ეკონომიკა საქართველოში აღარ არის მხოლოდ თეორია, ეს არის განვითარების ახალი სტრატეგია, რომელიც ქვეყნის ევროპულ მომავალს თანხვედრაში მოაქვს გლობალურ მწვანე პოლიტიკასთან.**

ეს კვლევა არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი ინიციატივა, ის ქმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, აძლიერებს ბიზნესის სტაბილურობას და ზრდის ინოვაციურ პოტენციალს. ეს არის ნაბიჯი ევროპული სტანდარტების შესაბამის, ინოვაციურ და ადამიანზე ორიენტირებული მომავალისკენ.



**აკადემიკოსი მიხეილ ჯიბუტი.**

## საპატიო თბილისელი

# კაცი, რომელსაც სამშობლოს წინაშე არაფერი შეშლია...

**2025 წელი მართლაც წარმატებული და ხელხვავიანი აღმოჩნდა მალხაზ დოლიძისთვის. საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, დარგის „ამაგდარისა" და „ექსპერტის" წოდების მფლობელი წლეულს, თბილისობის დღესასწაულზე „თბილისის საპატიო მოქალაქე" გახდა, მოგვიანებით — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი!..**

**ეს ორი უდიდესი ჯილდო, ბატონი მალხაზის ცხოვრების, შემოქმედებისა და პროფესიონალიზმის აღიარებაა. როგორც თავად ამბობს, პურპროდუქტების დარგს, თითქმის 60 წელია ემსახურება. ახლა შევეცდებით მალხაზ დოლიძის ცხოვრების ის მომენტები წარვუდგინოთ მკითხველს და ქართველ საზოგადოებას, რომელსაც უშრომელად და ზერელედ არ ჩაუვლია.**




**ძირძველმა თბილისელმა, დედაქალაქის ცნობილი და პოპულარული 24-ე საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1973 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ზოგადი ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი. საქმიანობა პურპროდუქტების სისტემაში დაიწყო, სადაც ინსტიტუტში სწავლამდე და სწავლის შემდეგ, თითქმის ყველა საფეხური გაიარა – იყო მუშა, ლაბორანტი, ინჟინერი, საამქროს უფროსი, წარმოების უფროსი, პურპროდუქტების გაერთიანებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის განყოფილების უფროსი, შემდეგ თბილისის N4 პურის ქარხნის დირექტორი...**

ახლა ცოტა ხნით გადახვევა და გადასვლა იმ წლებში, რომელსაც საქართველოს ავბედითი 90-იანი წლები ერქვა და სწორედ ამ პერიოდში მოუწია ბატონ მალხაზს თბილისის ერთ-ერთი დიდი პურის ქარხნის თავკაცობა.

სწორედაც რომ „გადახვევა" იმ პერიოდში, რადგან ახლა ხშირად გავიგებთ დაზეპირებულ-დასწავლილ ფრაზას „ოთხმოცდაათიანებში გვაბრუნებს მთავრობა", „რუსეთისკენ გვექაჩებიან" და ა. შ.

ჩემი აზრით, ამ პროვოკაციულ ფრაზებს ის ადამიანები გაიძახიან, რომლებიც იმ დროს საერთოდ არ იყვნენ დაბადებულნი, ან ძალიან პატარები იყვნენ, ან ისინი, ვინც საქართველოდან გაჭირვებას გაერიდნენ და დალხინებული ცხოვრებით შორიდან უთვალთვალებდნენ ქვეყნის გასაჭირს, უფრო მეტად კი ისინი, ვინც იმ დროს, სხვათა ხარჯზე და ათასგვარი მაქინაციებით გაზულუქებულნი ხელს ითბობდნენ ხალხის გაჭირვებით.

რიგით თბილისელებს ეხსომებათ ჩაბნელებული, ძმათამკვლელ ომში ჩაბმული, ათასგვარი შეიარაღებული ბანდების, საძმოებისა და დაჯგუფებების სარბიელად გადაქცეული დედაქალაქი და არამარტო საქართველოს გული, არამედ მთელი საქართველო. სწორედ მალხაზ დოლიძის მსგავსმა კეთილშობილმა, უშიშარმა, ხალხისთვის ზრუნვით თავგადაკლულმა ერთეულმა ადამიანებმა შეძლეს თავიანთი პროფესიის, სახელის, მოქალაქეობრივი პოზიციისა და ავტორიტეტის გამოყენება საიმისოდ, რომ მცირედით მაინც შეემსუბუქებინათ თანამოქალაქეებისთვის დუხჭირი ყოფა.

ქარხანა, რომელსაც ბატონი მალხაზი თავკაცობდა, ამ პერიოდში ერთი დღითაც არ გაჩერებულა და ნაძალადევებს და არამარტო მათ, პურით ამარაგებდა. სამ ცვლაში მომუშავე დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც დღე და ღამეს ათენებდა ქარხანაში, ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ ამ გაჭირვებაში ჩავარდნილი მოსახლეობისთვის პრობლემები შეემსუბუქებინა. შეძლო ის, რომ უამრავ თანამშრომელს შეუნარჩუნა სამუშაო ადგილი, გაუძლო თავდასხმებსა და ნაძირალა მოთარეშეთა ყოველდღიურ თავდასხმებს. ყოველივე ეს კარგად ახსოვთ თბილისელებს. სწორედ ამიტომ, **1997 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით მალხაზ დოლიძე ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.** უფრო მეტიც, მანამდე პურპროდუქტების დარგის მაშინდელი ხელმძღვანელის ბატონი ომარ კაციტაძის ინიციატივით, მალხაზ დოლიძეს რამდენიმეჯერ მოუწია სოხუმში, საბრძოლო ხაზზე პურის ჩატანა და არამარტო მებრძოლების, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის დახმარებაც.

მალხაზ დოლიძის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი მეცნიერულ მუშაობას ეთმობა. ჯერ კიდევ 1985 წელს, პირველად დაიწყო დიაბეტური პურის წარმოება და მისი ნარჩენებიდან მოდიფიცირებული სახამებლის მიღება. ეს დიდი „გადატრიალება" იყო პურპროდუქტების ისტორიაში და ყოველივე ეს დამსახურებულად სახელმწიფო პრემიითაც აღინიშნა. შემდგომ, მალხაზ დოლიძემ, მართლაც პირველი ნაბიჯი გადადგა პურის უნარჩენო წარმოების თვალსაზრისით და თავის სადისერტაციო თემადაც ეს სიახლე აირჩია. მის დაქვემდებარებაში მყოფ ქარხანაში პირველად დაიწყო ნაწარმის ტარის გარეშე გადატვირთვა, ტენზომეტრული აღჭურვა, უგლუტენო პურის წარმოება. ამ ტექნოლოგიურ ინოვაციების დანერგვას მოჰყვა ორი სადისერტაციო ნაშრომი, აკადემიკოს ედიშერ კვესიტაძესთან ერთად. საქართველოს ისტორიაში პირველად შემუშავდა მზა პურის ექსპორტი უცხოეთში.

მალხაზ დოლიძის დამსახურებაა ქართული პურის წარმოების საუკუნოვანი ისტორიის შესწავლა და იმ ადამიანთა დამსახურების წარმოჩენა, რომლებიც ამ მამულიშვილური საქმის სათავეებთან იდგნენ. მაგალითად, ბედნიერება გვქონდა, რომ პირველად ჩვენს გაზეთში გამოგვექვეყნებინა მასალები პურის დამამზადებლებისა და მათი ხელმძღვანელის (უსტაბაშის) **სოფრომ ვარაზიშვილის (ვარაზის)** მოღვაწეობის შესახებ.

„მამულიშვილთა გახსენების ფონდმა" ეს ნაშრომი საპატიო სიგელით აღნიშნა.

საინტერესო გახლდათ დიდი დავით გურამიშვილის პირველი წყლის წისქვილის ესკიზების მიხედვით მეცნიერული ნაშრომის შექმნა. დარგის მაშინდელ გენერალურ დირექტორ ბატონ ომარ კაჭარავასთან ერთად მალხაზ დოლიძე იყო თბილისში პურის სახლის შექმნის იდეის თანაავტორი და ერთ-ერთი განმახორციელებელი. დღეს პურის სახლის სტუმარი ათასობით უცხოელია, რომლებიც ყურადღებით ეცნობიან პურის წარმოების ისტორიას საქართველოში, რითაც ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში.

ბატონი მალხაზ დოლიძე გახლავთ რამდენიმე სახელმძღვანელოსა და დარგის შესახებ დაწერილი საინტერესო წიგნის ავტორი. მისი ჰობი კვების პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებული ძველი ექსპონატების შეგროვებაა. იგი ჩვეული ენერგიითა და პროფესიონალიზმით გადასცემს თავის გამოცდილებას სტუდენტ-ახალგაზრდობას, სისტემატიურად აქვეყნებს პრესაში პურპროდუქტების დარგის საჭირბოროტო თემებზე მეტად საინტერესო და პროფესიულ წერილებს, თანამშრომლობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განყოფილებასთან.

და რაც მთავარია, მალხაზ დოლიძის მეტად დასაფასებელი თვისება — მისი გულითადი დამოკიდებულება იმ პიროვნებებისა და ადამიანების მიმართ, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ამ ღირსეული, უნიჭიერესი ადამიანის ცხოვრებაში, სამეცნიერო თუ შრომით საქმიანობაში.

**„მადლიერებით ქედს ვიხრი იმ ხალხის წინაშე, ვინც ჩემ გვერდით იდგა, მათი დამსახურება და გამოცდილების გაზიარება ჩემი ცხოვრების კიბის თითოეული საფეხურია. რომ არა იური ოსიპოვი, ჯემალ კალანდაძე, ზაურ ლეჟავა, გივი გელენიძე, ჯიუ ლორთქიფანიძე, ომარ კაჭარავა, გაკურ გულუა, ლევან დავითაშვილი, ედიშერ კვესიტაძე და მრავალი სხვა, ის გამოცდილება და პროფესიული წინსვლა ნამდვილად ძნელი მისაღწევი იქნებოდა!"** – ამბობს **ბატონი მალხაზი.**

**ვულოცავთ საპატიო თბილისელობას ჭეშმარიტ მამულიშვილს, მზიანი გულის კაცს, ნაღდ პროფესიონალს, ბატონ მალხაზ დოლიძეს, ვუსურვებთ წინსვლასა და ბედნიერებას, კაცს, რომელსაც სამშობლოსა და საყვარელი ქალაქის წინაშე არასოდეს არაფერი შეშლია და არც შეეშლება!**

**მამუკა ვაშაკიძე,**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.


Opinion Geopolitics
Can a fragmented Europe continue to prosper?
What once made its sovereign states powerful and rich could now be a barrier to their remaining so
MARTIN WOLF + Add to myFT

ბრიტანული გაზეთის **„ფაინენშელ თაიმსის“ (FT _ Financial Times)** 12 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„შეუძლია თუ არა დანაწევრებულ ევროპას წარმატებული იყოს? ის, რამაც ევროპის ქვეყნები განვითარებული და აყვავებული გახადა, დღეს შეიძლება დაბრკოლებად იქცეს“** (ავტორი – **მარტინ ვოლფი,** FT-ის მთავარი ეკონომიკური მიმომხილველი). პუბლიკაციაში განხილულია გაერთიანებული ევროპის მოდელის – ევროკავშირის პერსპექტივა. **„განვითარებას სტაგნაცია ცვლის, პროგრესს – რეგრესი. როგორი იქნება ევროკავშირი მომავალში? ხომ არ ელოდება მას რომის იმპერიის ბედი?“.**

**გთავაზობთ ვრცელი ანალიტიკური სტატიის შემოკლებულ ვარიანტს:**

FINANCIAL TIMES

# „უკან – მომავლისკენ?!“




**რა გააკეთეს რომაელებმა ისეთი, რისთვისაც ქებით უნდა მოვიხსენიოთ? ბრიტანული კომედიური ჯგუფის „მონტი პაიტონის“ მიერ 1979 წელს გადაღებული ფილმის თანახმად, რომაელებმა შექმნეს აკვედუკები, აბანოები და... დაამყარეს მშვიდობა იმპერიაში. თუმცა იბადება კითხვა: „რატომ დაეცა მათი მშვიდობიანი იმპერია?“**

**მსოფლიო ისტორიაში დასავლეთ ევროპამ გარდამქმნელის როლი შეასრულა, რაც განპირობებული იყო საერთოევროპული იმპერიის არარსებობით: ევროპული ქვეყნები სუვერენულად არსებობდნენ და ერთმანეთთან კონკურირებდნენ. კონკურენციამ კი გამოიწვია ისეთი კომერციული, ინტელექტუალური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებები, რომლებმაც საბოლოო ჯამში ევროპა სამრეწველო რევოლუციამდე მიიყვანა. ამის შემდეგ კი ყველაფერი პოზიტიურად შეიცვალა.**

## ევროპული იმპერიები – ევროპის მიღმა

**ევროპის შემდგომი პროგრესი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ევროპელებმა უარი თქვეს რომის გამოცდილების გაზიარებაზე – კონტინენტური იმპერიის შექმნაზე. ჩინეთის, ინდოეთისა და ახლო აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, ევროპაში ყოვლისმომცველი ცენტრალიზებული იმპერია არ აღორძინებულა.**

მთელი 1500 წლის განმავლობაში ევროპის სახელმწიფოები ერთმანეთთან კონკურირებდნენ და მეტოქეობდნენ. ისინი ჰგავდნენ „ბოთლში“ ჩაყრილ შხამიანი ნესტრის მქონე მორიელებს, რომლებსაც მკაცრ გარემოში თავის გადარჩენა სურდათ და ამისთვის ნესტრებსაც იყენებდნენ. მათ ეს შეძლეს და შემდეგ მზერა აფრიკისკენ, აზიისაკენ და ახალი მიწებისაკენ – ამერიკისაკენ მიმართეს. ზოგიერთმა პატარა ევროპულმა ქვეყანამ თავისზე ასჯერ და მეტჯერ უფრო დიდი კოლონიური იმპერია-სამფლობელო შექმნა. მოგვიანებით რიგი ევროპული ქვეყნები ბრძოლას გამოეთიშნენ, მაგრამ მათი ინოვაციები და იდეები არ გამქრალა – უბრალოდ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლეს.

ამრიგად, ევროპელებმა იმპერიები ევროპაში კი არა, დანარჩენ მსოფლიოში შექმნეს. როგორც ავსტრიელი ისტორიკოსი ვალტერ შეიდელი წერს თავის წიგნში „გაქცევა რომიდან“ (2019 წ.), ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს – იგი ერთმანეთს ადარებს ევროპული ქვეყნების კონკურენციას (რაც თავის მხრივ, სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია) აზიურ იმპერიებს, რომლებმაც საბოლოო ჯამში სტაგნაცია განიცადეს და გაქრნენ.. ვალტერ შეიდელის აზრით, რომისა და ჩინეთის იმპერიები ერთმანეთს ჰგავდნენ: იყო მშვიდობა, იყო მიღწევები, მაგრამ არ იყო კონკურენცია სხვა ქვეყნებთან – რომი მარტოდმარტო იყო ევროპაში, ჩინეთი კი აზიაში. ამიტომ ორივე იმპერია დროთა განმავლობაში დაიშალა.

რატომ რჩებოდა ევროპა დანაწევრებული ცალკე სახელმწიფოებად? პასუხი, როგორც ჩანს, გეოგრაფიაში იმალება – მთებისა და ზღვების არსებობით. იყო ნაყოფიერი რეგიონები, რომლებსაც მოსახლეობის გამოკვება კომპაქტურად შეეძლოთ. ქვეყნები ერთმანეთისაგან გეოგრაფიული (ბუნებრივი) ბარიერებით იყვნენ განცალკევებულნი. რომაული ლეგიონების ძალისმიერი გამაერთიანებელი ეფექტი წარსულს ჩაბარდა და აღარ აღდგენილა.

## პროგრესს რეგრესი მოსდევს...

**XIX-XX საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ეკონომიკა მკვეთრად გაიზარდა: სამრეწველო და სოციალურმა რევოლუციებმა თავისი ეფექტი აჩვენეს. გაძლიერდა ინტეგრაციის ტენდენცია – შეიქმნა ევროგაერთიანება – ევროკავშირი.**

დღევანდელი ევროპის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 19-ჯერ მეტია, ვიდრე 200 წლის წინათ. გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობაც – თუ 1820 წელს 36 წელი იყო, ახლა 82 წელია. რევოლუციები ევროპიდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა: მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აშშ მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყანა ხდება. იგივეა აზიაში ჩინეთის როლიც.

მაგრამ გაერთიანებულ ევროპას და დასავლეთს მოაკლდა კონკურენტი საბჭოთა კავშირის სახით. მართალია, მოსკოვი ბევრად ჩამორჩებოდა განვითარებით ევროპას (სამხედრო სფეროში კი პირიქით იყო), მაგრამ მაინც უწევდა გარკვეულ კონკურენციას. საბოლოოდ, საბჭოელმა კომუნისტებმა რეფორმები ბოლომდე ვერ განახორციელეს და საბჭოთა კავშირი დაიშალა. სამაგიეროდ, ჩინეთმა მოახერხა და ევროპასთან (დასავლეთთან) კონკურენციაში საბჭოთა კავშირის ადგილი დაიკავა. ინდოეთსაც შეუძლია მსგავსი სახელმწიფო გახდეს.

ამრიგად, დღეს „ბოთლად“ მთელი მსოფლიო შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც ყველაზე შხამიან მორიელებს ძველი იმპერიების ნიშნები აქვთ. და რა რჩება ევროპისაგან? ევროპა გაერთიანებულია (თითქმის იმპერიული), მან ბევრ წარმატებას მიაღწია, გამდიდრდა... მაგრამ ახლა კრიზისის სიმპტომები აქვს, მისთვის ძნელია ეკონომიკური და დემოგრაფიული რესურსების მობილიზება... ევროკავშირი ბევრ უპირატესობას ფლობს რუსეთთან შედარებით, მაგრამ რესურსები არ ყოფნის და კონკურენტებს (აშშ, ჩინეთი, ინდოეთი...) ბევრად ჩამორჩება. ევროპას არც საკუთარი თავდაცვის ქოლგა არ აქვს და ძველებურად ისევ აშშ-ის იმედზეა, რომელიც დღეს მისი ეკონომიკური კონკურენტია. მოკლედ, გაერთიანებული ევროპის მარგი ქმედების კოეფიციენტი მცირდება...

## „უკან, მომავლისაკენ?“

**ევროპის ქვეყნებს დღეს მეტი სუვერენიტეტი სჭირდებათ, მეტი ეკონომიკური კონკურენცია ერთმანეთთან, მეტი ეროვნულობა (იდენტურობა).**

შეიძლება ითქვას, რომ ევროპა საკუთარი ისტორიული პარადოქსით ზიანდება: როცა ის დანაწევრებული იყო და ერთმანეთთან კონკურენცია არსებობდა, ევროპული ქვეყნები ძლიერდებოდნენ, შემდეგ კი ინტეგრაციის პროცესი განვითარდა, პროგრესი გაგრძელდა, მაგრამ პარალელურად სტაგნაციისა და კრიზისის ნიშნებიც გაჩნდა. გამოდის, რომ ევროპას უკუპროცესი – დეზინტეგრაცია გადაარჩენს?

თუმცა უფრო პოზიტიური შესაძლებლობაც არსებობს. ევროკავშირში ცენტრალიზების ტენდენცია უნდა შეჩერდეს, ის ახალ რომის იმპერიად არ უნდა გადაიქცეს. ევროპელებს უნდა უხაროდეთ, რომ რომი დაეცა და მრავალგზისი მცდელობის მიუხედავად, ძველი სახით აღარ აღმდგარა.



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

# კაია კალასი - უკრაინაში კორუფციის ადგილი არ არის, ეს არის ხალხის ფული, რომელიც ფრონტის ხაზზე უნდა მიდიოდეს!!!!



**ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი კაია კალასი უკიდურესად სამწუხაროს უწოდებს უკრაინის ენერგეტიკულ სექტორში კორუფციულ სკანდალს და, რომ მნიშვნელოვანია, კიევი ამ საკითხს სერიოზულად მიუდგეს.**

**„ისინი ძალიან მტკიცედ მოქმედებენ. კორუფციის ადგილი არ არის, განსაკუთრებით ახლა. ეს არის ხალხის ფული, რომელიც ფრონტის ხაზზე უნდა მიდიოდეს. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ მათ სწრაფად იმოქრაონ და ამას ძალიან სერიოზულად მიუდგნენ“,** – განაცხადა **კაია კალასმა** კანადაში, „დიდი შვიდეულის“ მინისტერიალის შეხვედრის ფარგლებში.

ენერგეტიკის სექტორში კორუფციული სკანდალის ფონზე თანამდებობა დატოვეს უკრაინის იუსტიციისა და ენერგეტიკის მინისტრებმა, მას შემდეგ, რაც ვოლოდიმირ ზელენსკი მათი გადაყენების მოწოდებით გამოვიდა.

**შეგახსენებთ, უკრაინის სპეციალური ანტიკორუფციული პროკურატურა და ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო კორუფციულ სქემას იძიებენ, რომლის ორგანიზატორად პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის ახლო მეგობარს, სტუდია „კვარტალ 95-ის“ თანამფლობელს ტიმურ მინდიჩს ასახელებენ. როგორც ანტიკორუფციულ უწყებაში აცხადებენ, გამოძიების ფარგლებში გამოვლინდა მასშტაბური კორუფციული სქემა, რომელიც მოქმედებდა სახელმწიფო სექტორის სტრატეგიულ საწარმოში, კერძოდ, „ენერგოატომში“. გამოძიების ფარგლებში გამოვლენილია საუბრების ჩანაწერები, რომელთა შორის, სავარაუდოდ, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის გერმან გალუშჩენკოს საუბარიც არის.**

**უმაღლესმა ანტიკორუფციულმა სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა „ენერგოატომის“ უსაფრთხოების საკითხებში აღმასრულებელ დირექტორს, დმიტრი ბასოვს, რომელსაც მასშტაბურ კორუფციულ სქემაში მონაწილეობა ედება ბრალად; ასევე პატიმრობა, 126 მილიონი გრივნის გირაოს ალტერნატივით, შეეფარდა ენერგეტიკის მინისტრის ყოფილ მრჩეველს იგორ მირონიუკს.**

**უკრაინის ეროვნულ ანტიკორუფციულ ბიუროში აცხადებენ, რომ დანაშაულებრივი დაჯგუფების საქმიანობის გამოძიება – ოპერაცია „მიდასი“ 15 თვე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში დეტექტივების განკარგულებაში საქმის ფიგურანტების საუბრის ათასობით საათის ჩანაწერი აღმოჩნდა. უკრაინული მედიის ცნობით, თავად ბიზნესმენმა და სტუდია „კვარტალ 95“-ის თანამფლობელმა ტიმურ მინდიჩმა საკუთარი სახლის ჩხრეკამდე რამდენიმე საათით ადრე უკრაინა დატოვა.**

# მუდამ სიმართლის მთქმელი გურამ ვაშაკიძე



**„წლები ჩემი სიმდიდრეა!“ – ბრძენკაცის ეს სიტყვები ძირეულად ერწყმოდა სახელოვანი პუბლიცისტის, სიმართლის გამოსამზეურებლად კალამშემართული შემოქმედის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, შიდა ქართლში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტის გურამ ვაშაკიძის შინაარსიანი ცხოვრების განვლილ გზას.**

**გორელ კალმოსანს, ვარდობისთვეში, დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. ჰო, შეუსრულდებოდა... მისი ამა ქვეყნიდან განშორება „საწუხარ არს ესე,“ რასაც დღემდე, ესოდენ სევდიანად განიცდიან შიდა ქართლელი (და არა მარტო) ჟურნალისტები.**

მართლის მთქმელსა და სიმართლის მქმნელს კარგად იცნობდა შიდა ქართლის საზოგადოება. მათ შორის ჯეროვან პატივს მიაგებდა ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა, რამეთუ **თბილისში დაბადებულ-გაზრდილმა, მერე კი სწავლულმა ჭაბუკმა ჟურნალისტური ნათლობა ძირძველ ქართულ – ლიახვისპირა ქალაქში გამომავალ ერთადერთ ქართულენოვან საოლქო გაზეთის (დაუვიწყარ რედაქტორი არჩილ მამისაშვილი) რედაქციაში მიიღო. იქვე, წლების მანძილზე, განყოფილების გამგის თანამდებობაზე მოღვაწეობდა და, ამავე დროს, სამაჩაბლოელთა მუდამ მხარში მდგომი და დაუცხრომელი ქომაგი იყო.**

მთის ნაჟურივით სუფთაა და კრიალოსანივით აწყობილი მისი შრომითი ბიოგრაფია. დაიბადა 1935 წლის 4 მაისს თბილისში. 1953 წელს დაამთავრა დედაქალაქის რკინიგზის N3 საშუალო სკოლა. შემდეგ ბეჯითმა ახალგაზრდამ სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1961 წელს.

გ. ვაშაკიძე სხვადასხვა წლებში მუშაობდა **ცხინვალის ქართულენოვან საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ განყოფილების გამგედ, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ ლიტერატურულ მუშაკად. შემდეგ, რესპუბლიკური გაზეთების „ზარია ვოსტოკას“ და „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტად. დაბოლოს, სიცოცხლის დასალიერამდე, წარმატებით იღვწოდა ქვეყნის ფლაგმან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარ კორესპონდენტად ისტორიულ შიდა ქართლში.**

* * *

**მაისის (2005 წ.) დასასრულს, ქართლის მეთაურ ქალაქში ფართოდ აღინიშნა შვიდი ათეული წლის გურამ ვაშაკიძის საიუბილეო თარიღი. დანიშნულ დროს, გორის ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში გაიმართა ხელხვავიანი შემოქმედის საიუბილეო სხდომა.**

ღონისძიებას უძღვებოდა მწერალი და ჟურნალისტი, გორის რაიონის გამგეობის და საკრებულოს ყოფილ გაზეთ „გორის მოამბის“ მთავარი რედაქტორი ზაურ წაქაძე.

იუბილარს მიესალმნენ: გორის რაიონის გამგებელი ნუკრი პაპუნაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ჯემალ ინჯია, გორის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე თამარ ედიშერაშვილი, ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „შიდა ქართლის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ნელი ჩალაური, გორისა და გორის რაიონის გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ციალა კობერიძე, ცხინვალის რეგიონის მწერალთა გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის“ მთავარი რედაქტორი, ამ სტრიქონების ავტორი რობერტ ოდიკაძე, გორის რაიონის გამგებლის მოადგილე გურამ აბრამიძე, საგამომცემლო საქმიანობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი ხათუნა ხეთაგური, გორის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი თამარ მურალოვა, გამგეობის კადრებისა და საორგანიზაციო განყოფილების გამგე მარიზა აბრამიძე, ხოლო ნათელა მარკოზაშვილმა იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა.

საიუბილეო სხდომის მონაწილეებს სამადლობელი სიტყვით მიმართა ჩინებულმა მოქართულემ, „ღირსების ორდენითა“ და სხვა არაერთი ჯილდო-წახალისებით დაფასებულმა ჩვენმა კოლეგა-ჟურნალისტმა გურამ ვაშაკიძემ.

**და მართლაც, რა კარგი იყო მაშინ!..**

**დრო კი გასულა... ხსოვნა გვმართებს ამაგდარი პუბლიცისტისა და სასიქადულო მამულიშვილისა!**

**რობერტ ოდიკაძე,**

**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**



# «მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი»...

## რამდენიმე მოსაზრება აკაკი წერეთლის პოემა ,,გამზრდელზე‘‘

**ვუძღვნი ძვირფასი მეგობრის ბეგო ბექუაშვილის ხსოვნას**

**პირველ ყოვლისა, თავად პოემა. იგი მოგვითხრობს ორ ვაჟკაც აფხაზზე, რომლებიც ერთმა ძიძამ გაზარდა, ანუ, ძუძუმტეებზე. მაგრამ მთავარი ფიგურა მათი გამზრდელია, მოხუცებულობაში გადამდგარი ვაჟკაცი უსუბი. ეს უკვე იქიდანაც ჩანს, თუ ვის უძღვნის თავის პოემას აკაკი წერეთელი. „ვუძღვნი ჩემს პედაგოგებს“ – ასეთი ეპიგრაფი უძღვის წინ ამ პოემას.**



დიდ, გოროზ მთებშია ვაჟკაცი აფხაზის ფაცხა. ერთი თვის წინ იქორწინა და ცოლად შეირთო სამეგრელოს ულამაზესი ასული ნაზიბროლა. და, ერთი უკიდურესი უავდრობის ჟამს, კარზე მიუბრახუნებს ყაბალახმოხვეული, მთლიანად შენიღბული, ძუძუმტე საფარბეგი. მის გამოჩენამდე ოდნავ ადრე, პოემის ავტორი მკითხველს აფრთხილებს: „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?“ და მართლაც, საფარ ბეგი სთხოვს თავის ძუძუმტეს, ბათუს, ცხენი მოჰპაროს სხვა ვაჟკაც აფხაზს, რათა ეს ცხენი მიჰგვაროს მას, ვის სიყვარულსაც ახლა მოუხიბლავს იგი.

წინადადება აშკარად უღირსობაა და ამას გრძნობენ კიდევაც ორივენი, მაგრამ საფარ ბეგის სიყვარული ყველაფერზე უდიდესია მისი „მორდუისთვის“. იმავე ღამეს მიჰგვრის მას მოპარულ ცხენს. სანამ ამას გააკეთებს, თავის ცოლთან, ნაზიბროლასთან შედის და წამით შეშდება: მას წარმოუდგება მტირალი, ღაწვებდაკაწრული ნაზიბროლა და აყირავებული ოთახი. ყველაფერი გასაგებია. იგი თავს წაადგება მძინარე საფარ ბეგს და მკაცრად მოსთხოვს საერთო გამზრდელთან, უსუბთან, წასვლას და მისთვის თავისი საქციელის მოყოლას.

სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმას, რომ საფარ ბეგს შეგნებული აქვს თავისი უღირსი ქცევა და თვალცრემლიანი იქვე ემუდარება მასპინძელს, სიკვდილით დასაჯოს, რაზედაც იგი ასეთ პასუხს ღებულობს: „არა! შენ ვერ შეგეხება სასიკვდილოდ ჩემი ტყვია: დედიჩემის გაზრდილი ხარ, მისი ძუძუ გიწოვია... მაგრამ ერთს კი დაგავალებ, რომ მიხვიდე ყაბარდოში, წადი ნახე ის მოძღვარი, ვინც შვილივით გამოგვზარდა, და უამბე შენი პირით, რაც სირცხვილი დაგემართა!“

მართლაც ასე ხდება. „ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ“ და ბოლოს, თქვა: „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“. უსუბი იქვე იკლავს თავს: „წარმოთქვა და საფეთქელში მიიჭედა ცხელი ტყვია!“

როგორც ვხედავთ, აქ თვითმკვლელობა არა მხოლოდ ქრისტიანის პოზიციიდანვე არის უარყოფილი, რომელიც მას განიხილავს უდიდეს ცოდვად, რომელ თვალსაზრისსაც იზიარებს ამ სიტყვების ავტორი, არამედ თვით არტურ შოპენჰაუერის მიხედვითაც, რომელიც ბრძანებს თავის ნაშრომში – „სამყარო, ვითარცა ნება და წარმოდგენა“ (თბილისი, 2016 წ.): **„იმისაგან ძალზე შორს, რომ წარმოადგენდეს ნების უარყოფას, იგი სწორედაც ფენომენია ნების ძლიერი დადასტურებისა“.**

მოკლე, არასრული განხილვა, თუ როგორი აზრი აქვს ამ თემაზე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას. პირველ ყოვლისა, მივმართე ცხონებული თამაზ ჭილაძის აზრებს, რომლის რედაქტორობით გამოცემული „ქართული პოეზიის“ ტომით ვისარგებლე, აკაკი წერეთლის პოემის გადაკითხვისას. მან „გამზრდელი“ სხვა პოემებთან ერთად განიხილა და ასეთი დასკვნა გამოიტანა:

**„აკაკის ყველა პოემა თითქოს მშვენიერი სიზმარია საუკუნისა, რომელსაც თვითონ „ცარიელ საუკუნეს“ უწოდებდა... აკაკის პოემებისთვის დამახასიათებელია წარსულის გაიდეალება, ადამიანის სულში საუკეთესო თვისებების აღმოჩენა და მათი სამზეოზე ზარ-ზეიმით გამოტანა – პოეტის პროგრამით გათვალისწინებული ის „ჭკუიანური“ ქმედებაა, რომელიც საერთოდ სჩვეოდა მას დასახული მიზნის განხორციელების დროს“.**

მაგრამ აქ სამართლიანად იკითხავს მკითხველი, რა საერთო აქვს ამ პოემებთან პოემა „გამზრდელს“? პოემის მთავარი ავტორიტეტული ფიგურა (და ამით, მთავარი გმირიც) კატასტროფას განიცდის და თავს იკლავს; ასევე ზნეობრივ კატასტროფას განიცდის მისი აღზრდილი საფარ ბეგი. კეთილშობილებას განასახიერებს მასპინძელი აფხაზი ბათუ, მაგრამ პოემის ავტორი აქცენტს უფრო ადამიანის ბუნების შავბნელ მხარეზე აკეთებს, ვიდრე ნათელზე („მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?“). ამიტომ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, თამაზ ჭილაძეს „გამზრდელი“ პოემების აღნიშნულ ჩამონათვალში საერთოდ არ შეეტანა. „გამზრდელი“ აკაკის შემოქმედებაში სრულიად ცალკე განსახილველი თემაა.

გადავხედოთ ვახტანგ კოტეტიშვილის და კიტა ბუაჩიძის ნაშრომებს – მათთან სრული სიჩუმე სუფევს აკაკი წერეთლის ამ პოემასთან დაკავშირებით.

**ავიღოთ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ბოლო ტომი (1987 წ.). მწერალი გრიგოლ აბაშიძე გვარწმუნებს, რომ უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა პოემა „გამზრდელს“, რომელშიც ზნეობრივი პრობლემებია წამოჭრილი, მაგრამ ამ პრობლემების უფრო ზედმიწევნით განხილვას ავტორი ერიდება...**

**ასეა, პოემა „გამზრდელი“ ჯეროვნად უნდა განვიხილოთ...**

**ვიქტორ რცხილაძე**

# ველური ბუნების სააგენტო ჭალის მუხის აღდგენასა და გამრავლებაზე მუშაობს

**წითელი ნუსხის სახეობების პროგრამის ფარგლებში, ველური ბუნების ეროვნული სააგენტო „წითელი ნუსხის სახეობის“ ჭალის მუხის აღდგენასა და გამრავლებაზე მუშაობს.**

ინიციატივის ფარგლებში, სააგენტოს სპეციალისტებმა ჭაჭუნას



აღკვეთილში ჭალის მუხის 20 000-მდე ერთეული სათესლე მასალა მოიპოვეს. მოპოვებული მასალა დაითესა სპეციალურად მოწყობილ სივრცეში, სადაც შექმნილია ოპტიმალური პირობები სახეობის ზრდა-განვითარებისთვის. შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია ნერგების გადარგვა ბუნებრივ ჰაბიტატებში, ტერიტორიებზე, სადაც ჭალის მუხა ისტორიულად იყო გავრცელებული.

წითელი ნუსხის სახეობა ჭალის მუხა – **Quercus pedunculiflora** ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში მდინარეების: მტკვრის, არაგვის, ქსნის, ლიახვის, ივრის, ალაზნის ჭალებში. მუხის ეს სახეობა რკოს გრძელი ყუნწით გამოირჩევა, რის გამოც მას „გრძელყუნწიან მუხასაც“ უწოდებენ. დღეის მდგომარეობით, ჭალის მუხა შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ მოწყვლადი (**VU – Vulnerable**) კატეგორიით.



# ჩემპიონების იბრძოლებენ

**აბუ დაბის გრანდ სლემზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ცნობილია.**

28-30 ნოემბერს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში შემდეგი ქართველი ძიუდოისტები იასპარეზებენ: გიორგი სარდალაშვილი (-60კგ), თემურ ნოზაძე (-66კგ), ლაშა შავდათუაშვილი (-73კგ), მიხეილ ბახბახაშვილი (-73კგ), დიმიტრი გოჩილაიძე (-81კგ), ჯუმბერ მელაძე (-81კგ), ლაშა ბექაური (-90კგ), ირაკლი დემეტრაშვილი (+100კგ).

ასე რომ, ტატამიზე **ლაშა ბექაური** ბრუნდება, რომელმაც ბოლოს ივნისში, მსოფლიოს ჩემპიონატზე იჭიდავა.

# როგორ გაიხსნება კვანძი?



**ევროლიგის მე-10 ტურში რეგულარული სეზონის პირველ ქართულ დერბის ველოდით, მაგრამ კამარ ბოლდუინი ტრავმის გამო მიუნხენის ბაიერნს ვერ დაეხმარა.**

სამაგიეროდ, მთავარი მწვრთნელის დათხოვნის მიუხედავად, **თორნიკე შენგელიამ** ბარსელონას სასტარტო ხუთეულში ადგილი შეინარჩუნა და თავისი გუნდის გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანა – 10 ქულა, 5 მოხსნა და 4 ასისტი. მის პარტნიორთაგან უკეთესი სტატისტიკა მხოლოდ **სატორანსკის** (13 ქულა) და **კლაიბერნს** (12 ქულა) ჰქონდათ, **ვილი ერნანგომესმა** კი ასევე 10 ქულას მოუყარა თავი, ხოლო მასპინძელთა ბომბარდირმა **დინვიდმა** (17 ქულა) უკანასკნელ წამზე საბედისწერო საჯარიმო ტყორცნა გააცუდა – 74:75.

ჯვაროსნებთან დაკავშირებით ახალი სანაკრებო თავსატეხიც გაჩნდა, რომელიც მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის აღნიშნულ ლეგიონერებს პირდაპირ ეხება.

კერძოდ, თუკი რეკორდმაისტერს ევროლიგის მატჩი 25 ნოემბერს უწევს და 27 ნოემბრისთვის დანიშნული უკრაინელებთან მატჩისთვის გავარიელთა თავკაცი **გორდონ ჰერბერტი,** გამოჯანმრთელების შემთხვევაში, ბოლდუინის გამოშვებაში პრობლემას ვერ ხედავს, კატალონიელებს მორიგი საევროპე შეხვედრა 26 ნოემბერს უწევთ, ამიტომ ახალი მწვრთნელის ფაქტორის გათვალისწინებით, რასაც მომქანცველი ფრენაც ემატება, კაპიტნის თბილისში ჩამოსვლა ჯერაც სათუოა.

აკი, განაცხადა კიდეც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვიქტორ სანიკიძემ** – თორნიკეს ნაკრებში ჩამოსვლას მე ვერ მოვთხოვო, თუმცა არც ის გვავიწყდება, რომ ჭეშმარიტ პატრიოტსა და გუნდის ლიდერს ანალოგიურ ვითარებაში არაერთხელ გადაუდგამს მამულიშვილური ნაბიჯი და ბიჭების დასახმარებლად გაცილებით სოლიდური დისტანცია დაუფარავს ჰაერსა თუ ხმელეთზე.

და ბოლოს: 27 ნოემბერს ახალ ოლიმპიურ სასახლეში ეროვნული ნაკრებიდან **გიორგი შერმადინის** გაცილებაა დანიშნული და ძნელი წარმოსადგენია, ამ ღონისძიებამ გიოს ძველი მეგობრის გარეშე ჩაიაროს.




# ოთხი ახალი

**გორჯღალოსანთა მთავარმა მწვრთნელმა რიჩარდ ქოქრილმა კანადისა და იაპონიის ნაკრებებთან გასამართავი ტესტ-მატჩების წინ შეკრებაზე ოთხ ახალ მოთამაშეს უხმო.**

ესენი არიან: „გრენობლის" ბურჯი **გიორგი მამაიაშვილი,** „ლა როშელის" კვაჭი **ნიკოლოზ სუთიძე,** „ტულონის" მეორეხაზელი **გიორგი ჯავახია** და „პროვანსის" მესამეხაზელი **თორნიკე ჯალაღონია**. მათგან ერთს – **ნიკოლოზ სუთიძეს** ნაკრების კვართით ჯერ არ უთამაშია.

საქართველო, რომელმაც აშშ-ს ბათუმში 43:30 სძლია, ნოემბრის მეორე ტესტ-მატჩს კვლავ ზღვისპირეთში, „აჭარაბეთ არენაზე" გამართავს და ამჯერად კანადას დაუხვდება. შეხვედრა ხვალ 16 საათზე დაიწყება.

კანადა 8 ნოემბერს რუმინეთს ეთამაშა და 21:31 დამარცხდა.

ჩვენმა მომავალმა მეტოქემ უკვე მოიპოვა 2027 წლის მსოფლიო თასის საგზური და ავსტრალიაში წყნარი ოკეანის მეორე გუნდის სტატუსით ითამაშებს. მოცემული მომენტისთვის კანადა მსოფლიო რეიტინგში 24-ე ადგილზეა, საქართველო კი მე-11 პოზიციას ინარჩუნებს.

2009-2017 წლებში ბორჯღალოსნები კანადას 7-ჯერ ეთამაშნენ და 4-ჯერ გამარჯვება მოიპოვეს, სამი თამაში კი დათმეს. ამ 7-იდან სამი თამაში საქართველოში ჩატარდა, სამივე თბილისში, ორჯერ კანადაში ვირაგბეთ, ორჯერ კი ნეიტრალურ მოედანზე.



პირველად კანადას აშშ-ში, გლენდეილში შევხვდით. მატჩი „ჩერჩილის თასის" ფარგლებში ჩატარდა და მეტოქემ 42:10 გაიმარჯვა. ერთი წლის თავზე ჩრდილოამერიკელები თბილისში, „ეროვნულზე" გვეწვივნენ და რევანში შედგა – საქართველომ 22:15 მოიგო.

2012 წელს კანადას სტუმრად, ვანკუვერში შევხვდით (12:31), ერთი წლის შემდეგ კი „ეროვნულზე" მეორედ გავიმარჯვეთ – 19:15. 2015 წლის მსოფლიო თასამდე კანადას ინგლისში ვეთამაშეთ და მინიმალური სხვაობით ჩამოვრჩით – 15:16.

ბოლო ორი შეხვედრა საქართველოს გამარჯვებით დასრულდა, რამაც კანადასთან დადებითი ბალანსი შეგვიქმნა. 2017 წელს მეტოქე მისსავე მოედანზე, კალგარიში 13:0 დავამარცხეთ, იმავე წლის ნოემბერში კი „ეროვნულზე" სარეკორდო სხვაობით – 54:22 ვაჯობეთ.

# საფეხბურთო მოზაიკა

**საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ოთარ კიტეიშვილმა ესპანეთთან მოახლოებული მატჩის წინ ისაუბრა.**

როგორც მან თქვა, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დაუმტკიცონ, რომ გუნდური სულისკვეთება და ჟინი არსად გამქრალა:

**„ვემზადებით. შეიძლება მნიშვნელოვანი მატჩები არ იყოს იმ კუთხით, რომ ჯგუფიდან გასასვლელად სასწაული გვჭირდება, მაგრამ ჩვენთვის, ყველა ფეხბურთელისთვის, ზოგადად, ნაკრებში მომუშავე ყველა წევრისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი თამაშებია. მინდა, რომ პირველ რიგში, საკუთარ თავს და ერთმანეთს დავუმტკიცოთ, რომ ისევ გვაქვს გუნდური ჟინი და სულისკვეთება, ეს ისევ დიდი რაოდენობითაა და ნაკრები გააგრძელებს ზრდას. დავუმტკიცებთ ჩვენს თავს, რომ ჩავარდნა, რომელიც გვაქვს, დროებითია და იმედია, აუცილებლად გამოვასწორებთ",** – თქვა კიტეიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს შესარჩევ ეტაპზე ოთხი ტურის შემდეგ მხოლოდ 3 ქულა აქვს. ჯგუფს ესპანეთი 12 ქულით ლიდერობს, მეორე პოზიციაზე 9 ქულით თურქეთია, შესაბამისად, ვილი სანიოლის გუნდს ჯგუფიდან გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი აქვს. საქართველოს ნაკრები ხვალ 21 საათზე დინამო არენაზე ესპანეთს უმასპინძლებს, ხოლო 18 ნოემბერს, სტუმრად ბულგარეთს დაუპირისპირდება.

* * *

**საფეხბურთო ობსერვატორია CIES-მა ფეხბურთელთა ასაკის, მიღწევების, თამაშის ხარისხისა და ჩემპიონატის დონის მიხედვით ჩაატარა კვლევა და დაასახელა ტოპ 100 ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი, სადაც რეიტინგში მოხვდა პსჟ-ს ქართველი შემტევი ხვიჩა კვარაცხელია.**

იგი CIES-ის რეიტინგში მე-10-11 ადგილს ვინისიუს ჟუნიორთან ერთად იყოფს. ორივეს ხელფასი დაახლოებით 16.2 მილიონი ევრო უნდა იყოს, რაც კვარაცხელიას რეალურ ხელფასს 4 მილიონით აღემატება.

კვლევის მიხედვით ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი მადრიდის „რეალის" შემტევი **კილიან მბაპე** უნდა იყოს და მისი ხელფასი წელიწადში 22.8 მილიონი უნდა იყოს. მეორე ადგილზეა **მოჰამედ სალაჰი** 17.9 მილიონით, ხოლო მესამე ადგილს **ჯუდ ბელინგემი** იკავებს 17.5 მილიონი ევროთი.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელია „პარი სენ-ჟერმენში" 2025 წლის იანვარში გადავიდა და მისი ანაზღაურება წელიწადში დაახლოებით 12 მილიონია.

* * *

**გამოცხადდა სტადიონები, რომლებიც ევრო 2028-ის გახსნისა და ფინალის მასპინძლები იქნებიან.**

უელსურ კარდიფში მდებარე სტადიონი „პრინსიპალიტი"ევრო 2028-ის ოფიციალურ გახსნის ადგილად შეირჩა, ხოლო ლონდონის „უემბლის" სტადიონი ნახევარფინალებს და ფინალს უმასპინძლებს, წერს Daily Mail.

2028 წლის ევროპის ჩემპიონატი ოთხ ქვეყანაში გაიმართება: ინგლისში, უელსში, შოტლანდიასა და ირლანდიაში. ოცდაოთხი გუნდი 51 მატჩში მიიღებს მონაწილეობას. ტურნირი 2028 წლის 9 ივნისს დაიწყება და ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 9 ივლისს დასრულდება.

ინგლისი ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩს მანჩესტერში, „ეტიჰად სტადიონზე" ჩაატარებს, ხოლო შემდეგ ორს - „უემბლიზე". ირლანდია, შოტლანდია და უელსი შესაბამისად დუბლინში, გლაზგოსა და კარდიფში ითამაშებენ.



* * *

**კოპა დელ რეიზე ქართველ ფეხბურთელთა გუნდების მეტოქეთა ვინაობა ცნობილია.**

**გიორგი მიქაუტაძის** „ვილიარეალის" მეტოქე „ატლეტიკო ანტონიანო" (მე-4 დივიზიონი) იქნება, **ლუკა გაგნიძის** „გრანადა" მესამე დივიზიონში მოასპარეზე „ტენერიფეს" დაუპირისპირდება, ხოლო **იური ტაბატაძის** „კადისის" მოწინააღმდეგე მესამე დივიზიონის წარმომადგენელი „მურსია" იქნება.

ესპანეთის თასის მეორე ეტაპი ერთმატჩიანი იქნება და შეხვედრები 2-4 დეკემბერს გაიმართება. ამ ეტაპზე წარმატების შემთხვევაში გუნდები 1/16 ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებენ, სადაც ასპარეზობაში ჩაერთვება სუპერთასის მონაწილე ოთხი გუნდი: „რეალი", „ბარსელონა", „ატლეტიკო" და „ბილბაო".

* * *

**ათობით სპორტსმენი შეუერთდა ადამიანის უფლებათა დამცველ ჯგუფებს, რომლებიც მოუწოდებენ ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირს (უეფას), რომ ისრაელის ნაკრები პალესტინელთა უფლებების დარღვევის გამო შეჯიბრებებში არ ჩაერთოს** – გვამცნობს Al Jazeera.

უეფას პრეზიდენტ **ალექსანდერ ჩეფერინისადმი** გაგზავნილ წერილში, ჯგუფმა „სპორტსმენები მშვიდობისთვის", რომელიც 70-ზე მეტ პროფესიონალ სპორტსმენს მოიცავს, მხარი დაუჭირა მმართველი ორგანოს მიერ ისრაელის საფეხბურთო ასოციაციასთან კავშირის გაწყვეტის მოწოდებას. მათ შორის წერილს ხელს აწერენ „მონაკოს" ნახევარმცველი **პოლ პოგბა,** „ვიდადის" გარემარბი **ჰაკიმ ზიეში** და „ფულემის" ფეხბურთელი **ადამა ტრაორე.**

**„საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების არცერთ სივრცეს, სცენას ან არენას არ უნდა უმასპინძლოს რეჟიმმა, რომელიც გენოციდს, აპართეიდს და კაცობრიობის წინააღმდეგ სხვა დანაშაულებს ჩადის. ისრაელის დაუსჯელობა ასეთი დანაშაულებისთვის შეიძლება დასრულდეს მხოლოდ სინდისის პრინციპებზე დაფუძნებული კოლექტიური მოქმედებით, მათ შორის იმ ზომებით, რომლებიც ისრაელელებს სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებას აუკრძალავს",** – ნათქვამია წერილში.

# ბიჭებო, წარსული მენატრება

მაშინ ბედნიერი ხალხი ვიყავით. თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლამ დაგვამეგობრა.

მე 1980 წელს დავასრულე უნივერსიტეტი, ჩემი განუყრელი მეგობრები: აკაკი სიხარულიძე და ნუგზარ სხირტლაძე იმხანად მეოთხე კურსზე იყვნენ.

მაინც ერთად ვიყავით ჭირსა თუ ლხინში, ჩვენს დაუვიწყარ მოძღვართან, ქართული ჟურნალისტიკის მაესტროსთან, ბატონ ნოდარ ტაბიძესთან ერთად და ხშირად ვიხსენებდით განუმეორებელ სტუდენტურ დღეებს.

ჯერ ბატონი ნოდარის დაღუპვამ დაგვცა თავზარი, ახლა აკაკიც...

ვაკის სამების ტაძრიდან, ეკლესიის ზარების გუგუნში, იქ თავმოყრილი უამრავი ადამიანი მქუხარე ტაშით რომ ვაცილებდით აკაკის უკანასკნელ გზაზე, ერთბაშად მივხვდი, რომ ოთხი ათეული წლის წინ კი არა, ახლა, ამ უმძიმეს წუთებში დამთავრდა ჩემი ბავშვობა და სტუდენტობა, მივხვდი და ჩემივე ლექსის სტრიქონები ამეკვიატა, სიყრმის მეგობრებს, აკაკისა და ნუგზარს რომ მივუძღვენი.

ორმოცი დღე გასულა, ჩემო აკაკი, რაც ამ საწუთროს გაეშორე, მას შემდეგ დავდივარ ნაღვლიანი, თვალცრემლიანი და როცა აუტანელი ხდება ხოლმე შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი, წუთისოფლის ამაოებაზე ფიქრი კიდევ უფრო მიმძაფრდება და იმაზე მწყდება ძალიან გული, რომ არცთუ ისე გრძელი გამოდგა გზა სიბერემდე, როგორც გვეგონა.

ვაჟა მიროტაძე



## ბიჭებო, ძველი დრო მენატრება

აკაკი სიხარულიძეს, ნუგზარ სხირტლაძეს

ბიჭებო, ძველი დრო მენატრება,
რა ვქნა, თუ ბავშვობა მელანდება,
ჭრილობებს ვიყუჩებ მარილიანს,
ეჰეე, სიზმარი ჩავლილია.

და არ შეიძლება არ გახსოვდეს,
რაც არ დაბრუნდება არასოდეს.
აღარ დაბრუნდება სიჭაბუკე,
ჩვენი ლამაზი სიჩაუქე.

ვერ გავეპარებით აწი ტყეში,
მიტომაც დედები აღარ გვცემენ,
ვეღარ ავტირდებით გულწრფელად და
ვეღარ ვაჯირითებთ ჯოხის ცხენებს.

ოი, დაწრეტილა ყველა ჯილე,
„ია, აი ია, თხა და მუხა",
რა ვქნა, მოგონება მაცოდვილებს,
ვწუხვარ, მეგობრებო, ძლიერ ვწუხვარ...

ბიჭებო, მძიმეა ზურგჩანთები,
ქუჩაში გნიასი და სიბევრეა,
ჩავიდეთ, ჩავიდეთ დროზე, თორემ
შემდეგი გაჩერება – სიბერეა.

ბიჭებო, ვეღარ ვიცლით ერთურთისთვის,
ხარისხებს დავეძებთ წყაროსავით,
ხშირად გვავიწყდება ამიტომაც
ჩვენი მეგობრობა სალოცავი.

კინოკადრებივით გვაჩერებენ
ქუჩებში, სტადიონზე, პანაშვიდზე,
ცოლ-შვილი, კარგი ბინა, აგარაკი,
ბავშვობავ, გვევედრები, დამამშვიდე.

ბიჭებო, მძიმეა ზურგჩანთები,
ამაოდ ვცდილობთ, რომ გადავაგდოთ,
ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ეს გულები
ახლავე ერთად გადავადნოთ.

თორემ, წყეული ზურგჩანთები!
შიგ სიცარიელის სიბევრეა,
რადგან გვათამაშებს ბედისწერა
და ჩვენი პაროლი – სიბერეა.

# მეცნიერებმა რომაული გზების ციფრული რუკა შექმნეს

**მეცნიერებმა რომაული გზების მთელი სისტემის დეტალური ციფრული რეკონსტრუქცია შექმნეს. გზების საერთო სიგრძე 300 ათას კილომეტრს შეადგენს. ქსელი 50%-ით უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე სპეციალისტებს აქამდე ეგონათ. კვლევა ჟურნალში Scientific Data გამოქვეყნდა.**

პროექტი ჩვენი წელთაღრიცხვით 150 წელს არსებულ მარშრუტებს მოიცავს. რუკის შექმნაზე ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტის მეცნიერები მუშაობდნენ. მკვლევრებმა გამოიყენეს რომაული რუკების ისტორიული ასლებისა და 8 ათასზე მეტი მილიარიუმის (მანძილის აღმნიშვნელი სვეტი) მონაცემები. ძველი საკომუნიკაციო გზების კვალის გამოსავლენად, მათ დამატებით შეისწავლეს გვიანი ისტორიული რუკები, აეროფოტოგადაღება და თანამედროვე სატელიტური სურათები.





**მონაკვეთებზე, სადაც გზების ფიზიკური კვალი არ იყო შემორჩენილი, მეცნიერებმა მილიარიუმები და სხვა არქეოლოგიური მტკიცებულებები ცნობილი მილის სვეტები შეაერთეს. ამგვარად, მათ რელიეფის თავისებურებების გათვალისწინებით ყველაზე სავარაუდო მარშრუტები გაიყვანეს. ციფრული რუკა არქეოლოგებს საშუალებას მისცემს, უფრო ზუსტად გამოთვალონ რომის ეპოქაში მოგზაურობის დრო, რაც მნიშვნელოვანია ვაჭრობისა და სამხედრო კამპანიების ორგანიზების შესასწავლად.**

# ხაშურელმა ქურდებმა სახელმწიფოს 5 მილიონის მილსადენები მოპარეს!

**პროკურატურამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით ქურდობის ფაქტზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე და მასთან კავშირში მყოფი ორი პირი დააკავა.**

საქართველოს პროკურატურამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით ქურდობის ფაქტზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე **ლევან გამრეკელი** და მასთან კავშირში მყოფი ორი პირი – **პაატა ნოზაძე** და **რომან მეტივიშვილი** დააკავა.



უწყების ცნობით, **შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ლევან გამრეკელი, პაატა ნოზაძესთან და რომან მეტივიშვილთან ერთად, 2020-2023 წლებში ფარულად დაეუფლნენ შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ 5 000 000 ლარის ღირებულების, სახელმწიფოს კუთვნილ მილსადენებს, რის შედეგადაც სახელმწიფოს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიადგა.**

**„დაკავებულებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით (ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით ქურდობა) წარედგინებათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს",** – ნათქვამია ინფორმაციაში.

# 4 ოქტომბრის საქმეზე 64 ბრალდებულის მიმართ ბრალდების დაზუსტების პროცედურა მიმდინარეობს

**2025 წლის 4 ოქტომბერს თბილისში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, სტრატეგიული ობიექტის ჯგუფურად ხელში ჩაგდების მცდელობის, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის, მასში მონაწილეობის, ასევე საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ საქვეყნოდ მოწოდების ფაქტებზე, ბრალდებული 64 პირის მიმართ, მიმდინარეობს ბრალდების დაზუსტების პროცედურა,** – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**„63 პირს ბრალდება უზუსტდება მხოლოდ ფორმულირების და დანაშაულის ქმედების აღწერის ნაწილში და კვალიფიკაცია არ იცვლება. ერთ ბრალდებულს – ნანა სანდერს კი ბრალდება კვალიფიკაციის ნაწილში უზუსტდება. ბრალდებულს ბრალად წარდგენილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება), ხოლო ამჟამად ბრალდება წარედგინება როგორც 225-ე მუხლის პირველი ნაწილით, ასევე 317-ე მუხლით (საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ)",** – განმარტავენ უწყებაში.

# იარაღის სამალავი სოფელ ლეჩურში

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა იარაღის სამალავი აღმოაჩინა, საიდანაც სხვადასხვა სახის ასაფეთქებელი და საბრძოლო მასალა ამოიღო,** – ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

**„ჩატაევისა და მისი დაჯგუფების წინააღმდეგ 2017 წელს დაწყებული გამოძიების ფარგლებში, სუს-ის კონტრტერორისტულ ცენტრში მიღებულ იქნა**



**ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაჯგუფების კუთვნილი საბრძოლო მასალის ნაწილი, მათი განეიტრალების შემდეგ, წლების განმავლობაში, ინახებოდა წყაროს მიერ მითითებულ ადგილას, რის შემდეგაც კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლების მიერ, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეჩურის მიმდებარედ არსებულ ტყის მასივში მოწყობილ სამალავში აღმოჩენილია ცეცხლსასროლი იარაღი, 5 მჭიდი, 161 ცალი ვაზნა, 3 ხელყუმბარა, სხვადასხვა სახის ასაფეთქებელი ნივთიერება, მათ შორის – ტროტილი. ასევე პირველადი დახმარების სამედიცინო ნივთები".**



# ტიბეტში აღმოჩენილი ვაზი მსოფლიოში უძველესად ცნეს

**გინესის რეკორდების წიგნმა ტიბეტში ნაპოვნი 416 წლის ვაზი მსოფლიოში უძველესად ოფიციალურად ცნო.**

ვაზი სოფელ ზუობაში, ზღვის დონიდან 2,4 ათასი მეტრის სიმაღლეზე, რეგიონის მცენარეების შესწავლის დროს აღმოაჩინეს. მოგვიანებით, მისი ასაკი ჩინეთის სატყეო მეურნეობის უნივერსიტეტის კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერებმა დაადგინეს. რეკორდსმენი ვაზის დიამეტრი 7,5 მეტრია.



# UNESCO-ს ექსპერტმა და რომის უნივერსიტეტის ინჟინერიის ფაკულტეტის გეოტექნიკის პროფესორმა სვეტიცხოველი მოინახულეს

**კულტურის მინისტრის მოადგილე თეიმურაზ გამცემლიძემ საქართველოში სტუმრად მყოფ ექსპერტებს – UNESCO-ს გეოლოგიისა და ICOMOS-ის ექსპერტ კლაუდიო მარგოტინისა და რომის უნივერსიტეტის ინჟინერიის ფაკულტეტის გეოტექნიკის პროფესორ კუინტილიო ნაპოლეონს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი დაათვალიერებინა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, სტუმრებთან ერთად, სვეტიცხოველში იმყოფებოდა არქიტექტორი **ვახტანგ ზესაშვილი.**

მინისტრის მოადგილემ და ექსპერტებმა სვეტიცხოვლის როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის შესახებ ისაუბრეს და ხაზი გაუსვეს ძეგლის მუდმივი კვლევისა და მის საჭიროებებზე ზრუნვის მნიშვნელობას.

# ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 2023-2025 წლებში შეძენილი უნიკალური ექსპონატები გამოიფინა

**საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ამავე ბიბლიოთეკის მიერ 2023-2025 წლებში შეძენილი უნიკალური ექსპონატები გამოიფინა.**

**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, წარმოდგენილი იყო რევოლუციამდელი პერიოდის ღია ბარათების კოლექცია საქართველოს ხედებით; აფიშების კოლექცია; ილია ადამიას ეთნოგრაფიული ჩანახატები; თვითნასწავლი მხატვრების – კარაპეტ გრიგორიანცისა და ტარიელაშვილის ნახატები; წიგნები: „ბიზანტიური ემალი“ (ფრანგულ ენაზე, 1892 წ.), სტრაბონის „გეოგრაფია“ (1512 წ.), „დონ კიხოტის იკონოგრაფია“ (1879 წ.); ივანე ჯავახიშვილის ანკეტა; არჩილ ჯორჯაძის წერილი (ავტოგრაფით); ალბომი ქართველი მწერლების ავტოგრაფებით; კონსტანტინე გამსახურდიასა და გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტები; ერეკლე ჯაბადარის ნოტები ავტოგრაფით; XVIII საუკუნის რუკა (კავკასია და მეზობელი რეგიონები); დოკუმენტები კიტა აბაშიძის არქივიდან.**



ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდები ყოველწლიურად ივსება კერძო პირებისა და კოლექციონერებისგან შეძენილი სამეცნიერო თუ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა კოლექციით, მათ შორის, იშვიათი გამოცემებით, არქივებით, წერილებით, პლაკატებით, ფოტოებითა თუ სხვა ბიბლიოგრაფიული ერთეულებით.

გამოფენა კულტურის მინისტრმა თინათინ რუხაძემ პირველ მოადგილესთან მაკა გურგენიძესთან და მოადგილე გიორგი მირცხულავასთან ერთად დაათვალიერა.

**„ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდები ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ინახება დიდი სიმდიდრე, რომელსაც მოფრთხილება, კვლევა და პოპულარიზაცია სჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ ბიბლიოთეკის გუნდი კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის მონაწილე იქნება“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**



# აჭარის კულტურის მინისტრი ელისო ბოლქვაძე საფრანგეთში საერთაშორისო კონკურსზე ჟიურის წევრად გაემგზავრა

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ელისო ბოლქვაძე საფრანგეთში, ქალაქ ნიცაში, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში – „French Riviera Masters“ ჟიურის წევრად არის მიწვეული.**



ელიტარულ საერთაშორისო კონკურსში, რომელიც ქალაქ ნიცაში პირველად ტარდება, მონაწილეობის მიღების უფლება მხოლოდ ლაურეატ პიანისტებს აქვთ.

გუშინ, 13 ნოემბერს, ნიცის ოპერის ლეგენდარულ დარბაზში, ნაციონალური სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ფინალური ტური გაიმართა. საერთაშორისო ჟიური მთავარი პრიზის მფლობელს გამოავლენს.

ფინალურ ტურში 22 კანდიდატიდან მხოლოდ 2 ახალგაზრდა პიანისტი გადავიდა. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არის ქართველი პიანისტი ბარბარე თათარაძე, რომელიც საქართველოს სახელით იღებს მონაწილეობას. ბარბარე საერთაშორისო კონკურსში აჭარის კულტურის მინისტრის მხარდაჭერით მონაწილეობს.

**„ეს კონკურსი არა მხოლოდ მაღალი დონის მუსიკალური ღონისძიებაა, არამედ უნიკალური პლატფორმა, სადაც ტალანტი, შრომა და ეროვნული კულტურა ერთიანდება საერთაშორისო აღიარებისკენ მიმავალ გზაზე. ქართული მუსიკალური სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა ოსტატობითა და სიღრმით – ჩვენი ახალგაზრდა მონაწილე სწორედ ამ ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია,“** – განაცხადა **ელისო ბოლქვაძემ.**

**კონკურსის შედეგებს ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში შემოგთავაზებთ!**



# ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სალოტბარო სკოლების ფესტივალი დაიწყო

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, 8 ნოემბრიდან ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ფოლკლორისტების, რეგიონების ლოტბარ-რეგენტებისა და 45 სალოტბარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით, ინტენსიური რეპეტიციები მიმდინარეობს.**

ფესტივალი 15 ნოემბერს გალაკონცერტით დასრულდება, რომელიც ანზორ ერქომაიშვილის 85 წლის იუბილეს ეძღვნება.

# „ქართველი მხატვრები საბერძნეთში“

**20-25 ნოემბერს საბერძნეთში, ათენის ხელოვნების ცენტრში, საქართველოს საელჩოს ებიდით, გაიმართება გამოფენა სახელწოდებით: „ქართველი მხატვრები საბერძნეთში“.**

გამოფენა საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიული მუზეუმისა და ათენის მუნიციპალიტეტის კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის ორგანიზაციის „ოპანდა“ მხარდაჭერით ტარდება.

**მისამართი: City of Athens Arts Centre, Vasilissis Sofias Avenue, 115 21, Eleftherias Park (ათენის ხელოვნების ცენტრი, ელეფთერიას პარკი, ვასილისის სოფიას გამზირი, მეტროსადგურ – „მეღარო მუსიკის“ მიმდებარედ).**




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 17 ნოემბერს**